

წმინდა
პოლიუარპე სმიზნელი





შესავალი

ღვდელმონამე პოლიკარპე იყო სმირნის ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული ეპისკოპოსი და მოციქულებრივი კაცი.¹ ადრეულ მწერალთა ცნობებით, იგი „არა მხოლოდ მოციქულთა ნამონაფარი იყო და ურთიერთობა ჰქონდა მრავალ ადამიანთან, რომელთაც ქრისტე საკუთარი თვალით ჰყავდათ ნანახი, არამედ მოციქულების მიერვე იყო დადგენილი აზიაში სმირნის ეკლესიის ეპისკოპოსად“.² წმ. პოლიკარპე იყო იოანე მოციქულის მოსწავლე და ის სწორედ იოანემ ჩაუყენა სმირნის ეკლესიას სათავეში (დაახლ. 110 წ.).³ პოლიკარპე მე-

1. ვესევი კესარიელი *ეკლესიის ისტორიაში* წმ. პოლიკარპეს უწოდებს „მოციქულებრივ პოლიკარპეს“ (ἀποστολικὸν Πολυκάρπῳ, 4.15.46) და „მოციქულებრივ კაცს“ (ἀποστολικὸν ἄνδρα, 3.36).

2. წმ. ირინეოსი, *მწვალეულობათა წინააღმდეგ*, 3.3.4; ვესევი კესარიელი, *ეკლესიის ისტორია*, 4.14.3. ამის გამო ვესევი კესარიელი მას „მოციქულთა მსმენელს“, ანუ მონაფეს უწოდებს (τῶν ἀποστόλων ἑμίλιον, *ეკლესიის ისტორია*, 3.36.1).

3. ამის შესახებ წერს ნეტარი იერონიმე: „პოლიკარპე, იოანე მოციქულის მონაფე და მის მიერ დადგენილი სმირნის ეპისკოპოსად, გახდა წინამძღოლი მთელი აზიისა (πᾶσης τῆς Ἀσίας ἀρχιεϋς), ვინაიდან იგი მრავალ მოციქულს და ქრისტეს თვითმხილველს შეხვედრია და ისინი მასწავლებლებდაც ჰყავდა“ (*გამოჩენილ ადამიანთა შესახებ*, 17, PL 23, სვ. 668B). იხ. ასევე, ვესევი კესარიელი, *ეკლესიის ისტორია*, 3.36.1. იოანე მოციქულის მიერ პოლიკარპეს სმირნის ეკლესიის სათავეში დადგენას ადასტურებს ტერტულიანეც: „ისე, როგორც სმირნელთა ეკლესიაში, გადმოცემისამებრ, პოლიკარპე იოანეს მიერ იქნა დადგენილი, ისე, როგორც რომაელთა ეკლესიაში კლიმენტი პეტრეს მიერ იქნა დაყენებული“ (*“sicut Smyrnaeorum ecclesia Polycarpum ab Iohanne conlocatum refert, sicut Romanorum Clementem a Petro ordinatum est“*, იხ. მისი წიგნი *მწვალეუბელთა შეკამათების აცილების შესახებ*, 32.2, PL 2, სვ. 45A).

გობრობდა მღვდელმონაშემ ეგნატი ანტიოქიელთან,¹ თავად კი იყო მღვდელმონაშემ ირინეოს ლიონელის მასწავლებელი.² მასთან ყოფნა და მისი საუბრების მოსმენა დიდად საწაადელი იყო უბრალო მორწმუნეებისთვისაც.³ წმ. პოლიკარპეს ერთ-ერთ საუკეთესო დახასიათებას იძლევა ნეტარი იერონიმი, რომელიც, წმ. ეგნატი ანტიოქიელის აღსრულების შემდეგ, პოლიკარპეს „მთელი აზიის წინამძღოლს“ უწოდებს,⁴ ასევე, ეგნატი ანტიოქიელი, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოლიკარპეს სწერდა: „როგორც მესაჭეებს ქარი და როგორც ქარიშხლით გვემუღს – ნავსადგური, (ჩვენს) დროს შენ ღმერთთან მისაღწევად სჭირდები“.⁵ ევსევი კესარიელის სიტყვებით, ვინაიდან ეგნატი ანტიოქიელი იცნობდა პოლიკარპეს, როგორც მოციქულებრივ კაცს⁶ და როგორც ჭეშმარიტ და კეთილ მწყემსს, ჩააბ-

1. ჩვენამდე მოაღწია ეგნატი ანტიოქიელის მიერ პოლიკარპე სმირნელი-სადმი მიმართულმა ეპისტოლემ (იხ. ზემოთ).

2. წმ. ირინეოსი წერს წმ. პოლიკარპეს შესახებ: „მე მინახავს იგი ჩემი ყმანვილობის ხანაში, – რადგან მან დიდხანს იცოცხლა და ღრმად ხანდაზმული დიდებულია და საოცარი მონაშემობით წავიდა ცხოვრებიდან, – იგი მუდამ ასწავლიდა იმას, რაც მოციქულთაგან ისწავლა, რასაც გადმოსცემს ეკლესია და რაც ერთადერთ ჭეშმარიტებას წარმოადგენს“ (3.3.4). ირინეოსი სწერს პოლიკარპეს შესახებ ასევე ფლორინუსს, პოლიკარპეს ერთ-ერთ მონაწევს, რომელიც შემდეგ გნოსტიციზმისაკენ გადაიხარა: „ასეთი მოძღვრება არ გადმოუციათ ჩვენთვის ჩვენს მამებს, რომლებიც თავად მოციქულებს უსმენდნენ. მე განახე შენ, როდესაც ბავშვი ვიყავი, ქვედა აზიაში, პოლიკარპესთან... მე ახლაც შევძლებდი, მიმეთითებინა ადგილი, რომელზეც იჯდა და საუბრობდა ნეტარი პოლიკარპე, შემიძლია აღვწერო მისი სიარული, მისი ცხოვრების წესი და გარეგნული იერი, გამოსვლები ხალხთა სიმრავლის წინაშე, მისი მეგობრული ურთიერთობა იოანესთან, როგორც იგი თავად გვიყვებოდა, და უფლის სხვა თვითმხილველებთან, და როგორ იხსენებდა იგი მათ სიტყვებს და გადმოსცემდა იმას, რაც მოესმინა მათგან უფლის, მისი ძალის, მისი მოძღვრების შესახებ... ამდენად, შემიძლია დავამოწმო ღვთის წინაშე: ამ ნეტარ და მოციქულებრივ მოხუცებულს რომ გაეგონა რამე შენი შეცდომის მსგავსი, იგი იყვირებდა, მყისვე დანიშობდა თავის ყურებს და მისი ჩვეულებისამებრ იტყოდა: „ღმერთო კეთილო! ეს რას მომასწარო!“ (ევსევი კესარიელი, *ეკლესიის ისტორია*, 5.20.4).

3. ევსევი კესარიელი, *ეკლესიის ისტორია*, 5.20; წმ. პოლიკარპე სმირნელის *მარტილობა*, 13.2.

4. *πάσις τῆς Ἀσίας ἀρχιεύς*, ნეტარი იერონიმი, *გამოჩენილ ადამიანთა შესახებ*, 17, PL 23, სვ. 668B.

5. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე პოლიკარპეს მიმართ*, 2.

6. *ἀποστολικὸν ἄσβρα* (ევსევი კესარიელი, *ეკლესიის ისტორია*, 3.36).

არა მას ანტიოქიის სამწყსო და სთხოვა, გულმოდგინედ მოეფლო მისთვის.¹ პოლიკარპეს უმთავრეს ღირსებას წარმოადგენდა მისი სიმტკიცე, როგორც სულიერი, ისე სარწმუნოებრივი თვალსაზრისით² და სამოციქულო მოძღვრების შეუმღვრეველი გადაცემა ქრისტიანებისათვის. ტექსტებში ნახსენებია მისი წინასწარმეტყველების ნიჭიც.³ სარწმუნოებისათვის პოლიკარპეს ბრძოლის ყველაზე ცნობილ მაგალითს წარმოადგენს მისი გამგზავრება რომში აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, ანტონინუს პიუსის ზეობისას და პაპ ანიკეტუსის მოღვაწეობის ხანაში (დაახლ. 158-169 წწ.),⁴ ვალენტინესა და მარკიონის წვალებათა მომძღვრებისას. მაშინ პოლიკარპემ რომში მრავალი შეცდომილი მოაქცია.⁵ ნეტარი იერონიმეს გადმოცემით, იგი შემთხვევით შეხვედრია ერესიარხ მარკიონსაც, რომელმაც პოლიკარპეს თავხედურად მიმართა: „გვცანი ჩვენ“,⁶ პოლიკარპემ კი მიუგო: „ვიცნობ, ვიცნობ სატანას პირმშოს“. აღსანიშნავია, რომ მცირე აზიისა და დასავლეთის ეკლესიათა აღდგომის განსხვავებულ დროს დღესასწაულობის საკითხთან დაკავშირებით პოლიკარპემ და პაპმა ანიკეტუსმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, მაგრამ ერთმანეთს მშვიდობით დაშორდნენ, რის ნიშნადაც პაპმა პოლიკარპეს ნება დართო, რომის ეკლესიაში არაერთი წირვა აღესრულებინა.⁷

წმ. პოლიკარპე მონამეობრივად აღესრულა რომში 86 წლის ასაკში⁸ და, როგორც ვესევი კესარიელი წერს, თავისი მონამეობით დასასრული დაუდო ქრისტიანთა დევნას.⁹ წმ. პოლიკარ-

1. ვესევი კესარიელი, *ეკლესიის ისტორია*, 3.36.10.

2. იხ. წმ. ეგნატე ანტიოქიელი, *ეპისტოლე პოლიკარპეს მიმართ*, 1, 3.

3. წმ. პოლიკარპე სმირნელის მარტვილობა, 16.

4. პ. კამლო მიუთითებს 154/155-165/166 წლებს (იხ. *Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 160-161).

5. წმ. ირინეოსი, *მწვალებლობათა წინააღმდეგ*, 3.3.4; ვესევი კესარიელი, *ეკლესიის ისტორია*, 4.14.1-2.

6. ἔγνωσθε ἡμᾶς, წმ. ირინეოს ლიონელი, *მწვალებლობათა წინააღმდეგ*, 3.3.4; „Cognosce nos“, ნეტარი იერონიმე, *გამოჩენილ ადამიანთა შესახებ*, 17, PL 23, სვ. 667-668C.

7. ვესევი კესარიელი, *ეკლესიის ისტორია*, 5.24.16-17.

8. იხ. წმ. პოლიკარპე სმირნელის მარტვილობა, 9.3.

9. ვესევი კესარიელი, *ეკლესიის ისტორია*, 4.15.3.

პე სმირნელის მარტვილობაში აღნიშნულია, რომ როდესაც იგი სიკვდილით უნდა დაესაჯათ, სმირნელ წარმართთა ბრბო ყვიროდა: „ეს აზიის მოძღვარია, ქრისტიანების მამა (Τῆς Ἀσίας διδάσκαλος, ὁ πατὴρ τῶν Χριστιανῶν), იგი ჩვენს ღმერთებს ანადგურებს, ხალხს ასწავლის, რომ არ შესწირონ მათ მსხვერპლი და არც თაყვანი სცენ“ (12.2). მისი გარდაცვალების ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის. ნეტარი იერონიმეს თანახმად, პოლიკარპე აწამეს „მარკუს ანტონინუსისა და ლუციუს ავრელიუს კომოდუსის ზეობისას, ნერონის შემდეგ (ქრისტიანთა) მეოთხე დევნისას“.¹ პოლიკარპეს გარდაცვალების დროდ სახელდება სხვადასხვა თარიღები 155-დან 167 წლამდე, კერძოდ, 155 წლის 23 თებერვალი,² 156 წლის 22 თებერვალი, 166 წლის 26 მარტი, 167 წლის 23 თებერვალი და ა.შ., თუმცა ჩვეულებრივ ითვლება, რომ იგი აღესრულა 155-156 წლებში. შესაბამისად, იგი დაბადებულია 69-70 წწ. და დაახლოებით 40 წლისა იყო, როდესაც სმირნის ეპისკოპოსად იქნა ხელდასახმული.

წმ. პოლიკარპეს დაუნერია მრავალი წერილი, რომელთაგან შემორჩენილია მხოლოდ მისი *ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ*.³ ეპისტოლეში შეინიშნება გარკვეული წინააღმდეგობა. მის მეცხრე თავში ნათქვამია, რომ ეგნატი ანტიოქიელი უკვე „იმყოფება მისთვის ჯეროვნად მიკუთვნებულ ადგილას, უფალთან“ (9.2), მეცამეტეში კი პოლიკარპე სმირნელი სთხოვს ფილიპელებს, „ეგნატისა და მასთან ერთად მყოფთა შესახებ, რასაც დანამდვილებით გაიგებთ, ჩვენც შეგვატყობინეთ“ (13.2), საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ დაწვრილებითი ცნობები ეგნატის მონამებრივი აღსასრულის შესახებ ჯერ კიდევ არ იყო ფართოდ გავრცელებული, ან იგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ან მეცამეტე თავის ეს მონაკვეთი მოგვიანებით იქნა ჩამატებული ინტერპოლატორის მიერ.⁴ პ. ჰარისონის თვალსაზ-

1. ნეტარი იერონიმე, *გამოჩენილადამიანთა შესახებ*, 17, PL 23, სვ. 668C.

2. ამ თარიღს ემხრობა კამლო, ეპისტოლეს ბერძნული კრიტიკული ტექსტის გამოცემელი (*Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 161).

3. წმ. ირინეოსი, *მწვალებლობათა წინააღმდეგ*, 3.3.4; ვესევი კესარიელი, *ეკლესიის ისტორია*, 4.14.8-9, 5.20.8.

4. R. Joly. *Le Dossier d'Ignace d'Antioche*. Bruxelles, 1979; Clavis, ტ. 1, გვ. 18, N 1040.

რისით, ეს ეპისტოლე წარმოადგენს არა ერთს, არამედ იმავე ადრესატებისადმი მიმართულ, ხელნაწერი ტრადიციის მიერ გაერთიანებულ ორ წერილს, მიახლოებით 107-110 წწ. ახლო ხანებში დაწერილს და ოციოდე წლის შემდეგ, 135-137 წლებში შესრულებულ ეპისტოლეებს.¹ სხვა მკვლევარები ეპისტოლეს II ს-ის შუა წლებით ათარიღებენ.

წმ. პოლიკარპეს ეპისტოლეს ბერძნული ტექსტი დაცულია ერთი რედაქციის ცხრა ხელნაწერში (მათგან საუკეთესოდ ითვლება *Vat. Gr. 859*),² რომელთაც ერთი არქეტიპი აქვთ, რის გამოც ყველა მათგანი წყდება მეცხრე თავზე, სიტყვებით καὶ δὲ ἥμας ἵπῳ (9.2), და გრძელდება ბარნაბას *ეპისტოლეთი*, სიტყვებით: τὸν λαὸν τὸν καιρὸν (5.7). ტექსტის ორი ვრცელი მონაკვეთის (თთ. 9, 13) დამონმება ბერძნულ ენაზე გვხვდება ევსევი კესარიელთან,³ დარჩენილმა ხუთმა თავმა კი ჩვენამდე მოაღწია ძველი ლათინური თარგმანით, რომელიც საკმაოდ თავისუფალია და ზოგ შემთხვევაში უზუსტო.⁴ იგი 1498 წელს გამოსცა იაკობ ფაბერ სტაპულსკიმ.⁵ რაც შეეხება ბერძნულ ტექსტს, იგი გამოქვეყნდა მხოლოდ 1633 წელს, პეტრე ჰალუას (*Petrus Halloix*) მიერ. იგი გამოცემულია, ასევე, PG 5, სვ. 1005-1016, ხოლო მისი კრიტიკული ტექსტი *Sources Chrétiennes*-ის სერიით: *Ignace d'Antioche, Polycarpe de Smyrne: Lettres. Martyre de Polycarpe. Texte grec, introduction, traduction et notes de Pierre-Thomas Camelot. SC 10. 4e édition. Paris: Les éditions du Cerf, 1969, გვ. 157-193* (ბერძნული ტექსტი ფრანგული თარგმანით).

ეპისტოლე ითვლება წმ. პოლიკარპე სმირნელის ავთენტურ წერილად. მის შესახებ წერს ირინეოსი თხზულებაში *მწვალებლობათა წინააღმდეგ*: „შემორჩენილია პოლიკარპეს *ეპისტოლე*

1. ჩვენამდე ერთ ეპისტოლედ მოღწეული პოლიკარპეს ორი წერილის შესახებ შეხედულება თავდაპირველად პ.ჰარისონმა გამოთქვა: P.N. Harrison. *Polycarp's two Epistles to the Philippians*. Cambridge, 1936; იხ. *Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 164-167. იხ. ასევე, Johannes Quasten. *Patrology*. Vol. 1. Christian Classics. Westminster, Mariland, 1994, გვ. 79-80.

2. Clavis, ტ. I, გვ. 18, N 1040.

3. შესაბამისად, 3.36.13 და 3.36.14-15.

4. *Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 171.

5. *Epistolae Egnatii Antiocheni et Polycarpi*. Trad. Ambrosius Traversarius. Ed. Jacobus Faber Stapulensis. Paris, 1498.

ფილიპელთა მიმართ, დაწერილი საკმაოდ ძლიერად, რომლიდანაც ყველას, ვისაც ამის სურვილი აქვს და ვინც ზრუნავს საკუთარ გადარჩენაზე, შეუძლია გაეცნოს მისი სარწმუნოების ხასიათსაც და ჭეშმარიტების ქადაგებასაც“ (3.3.4).¹ ეს უკანასკნელი იმონებებს, ასევე, ერთ-ერთ მონაკვეთს პოლიკარპეს ეპისტოლედან (13.1-2), რომელიც მართლაც პოლიკარპეს მიეკუთვნება.² წმ. ფოტიოსი, რომელსაც წაუკითხავს ეს წერილი, მიიჩნევს, რომ იგი აღსავსეა ყოველგვარი კეთილი შეგონებით, არის ცხადი და მარტივი, და დაწერილია განმარტებათა საეკლესიო მეთოდის შესაბამისად.³ ამ წერილს ახსენებს ნეტარი იერონიმეც, რომელიც მიუთითებს, რომ ეს „მეტად საოცარი ეპისტოლე“ (παις θαυμαστὴν Ἐπιστολήν) „დღემდე იკითხება აზიაში შეკრებებისას“.⁴

ეპისტოლე წარმოადგენს წმ. პოლიკარპეს პასუხს ფილიპელთა წერილზე, რომელთაც წმ. ეგნატი ანტიოქიელის გარდაცვალების შემდეგ, პოლიკარპეს ეგნატის წერილები სთხოვეს წასაკითხად. პოლიკარპემ შეასრულა მათი თხოვნა და ეგნატის წერილებს საკუთარი ეპისტოლეც დაურთო. წერილი თითქმის მთლიანად ეთიკურ საკითხებს ეძღვნება. მასში განხილულია სასულიერო და საერო პირთა მოვალეობები, მითითებულია ქრისტიანისათვის დამახასიათებელი თვისებები, მოცემულია მრავალი შეგონება ეგნატი ანტიოქიელისა და მის თანამონაშემთა მაგალითით რწმენაში განმტკიცების, ქველმოქმედების, ლოცვის, მარხვის, მოთმინების, მტერთა სიყვარულისა და სხვა საკითხების შესახებ. ზნეობრივი სწავლების ძირითად თემას ტექსტში წარმოადგენს სიმართლე და სამართლიანობა, რწმენა, სიყვარული და უფლის მიბაძვა (3.1,3, 10.1), რისი მეშვეობითაც სულის ხსნა და სასუფეველის დამკვიდრება შესაძლებელი (2.3, 5.3).

გვხვდება დოგმატიკურ-პოლემიკური მონაკვეთებიც, თუმცა შედარებით იშვიათად. მათგან აღსანიშნავია მაცხოვრის გან-

1. წმ. ირინეოსის ეს სტრიქონები დამონებული აქვს ევსევი კესარიელს, იხ. მისი *ეკლესიის ისტორია*, 4.14.8.

2. *ეკლესიის ისტორია*, 3.36.14-15.

3. წმ. ფოტიოსი, *ბიბლიოთეკა*, 126, PG 103, სვ. 408BC.

4. სიტყვასიტყვით: სინოდზე (συνοδῶ). იხ. *გამოჩენილ ადამიანთა შესახებ*, 17, PL 23, სვ. 668C.

ხორციელების, მისი ვნებისა და აღდგომის მოძღვრების დაცვა: „ყოველი, ვინც არ აღიარებს იესო ქრისტეს ხორციელად მოსვლას, ანტიქრისტია. ის, ვინც არ აღიარებს ჯვრის მტკიცებულებას, ეშმაკისგანაა. ის, ვინც უფლის სიტყვებს გამოიძიებს საკუთარ გულისთქმათა მიხედვით და იტყვის, რომ არც აღდგომა არსებობს და არც სამსჯავრო, იგი სატანის პირმოა. ამიტომ, მივანებოთ თავი მრავალთა ამაოებას და ცრუმოდვრებებს და მივუბრუნდეთ დასაბამიდან ჩვენთვის გადმოცემულ სიტყვას“ (7.1).

წერილის სტილთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ იგი დაწერილია მოციქულებრივი სისადავით, რაც კიდევ უფრო მკვეთრად წარმოაჩენს ტექსტის ავტორის სულიერ სიღრმეს და ყოვლისმომცველ ქრისტიანულ სიყვარულს.

განსახილველი ტექსტი ქართულ ენაზე ერთხელ უკვე იყო გადმოღებული. მისი თარგმანისა და განხილვისათვის იხ. წმ. პოლიკარპე სმირნელი. *ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ*. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო თბილისის სასულიერო აკადემიის პრორექტორმა, დეკანოზმა გიორგი ზვიადაძემ. თბილისი: მერიდიანი, 1998.



ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ

პროლოგი

პოლიკარპე და მასთან ერთად მყოფი მღვდელნი ფილიპიში მსხემ¹ ღვთის ეკლესიას: გიმრავლოთ წყალობა და მშვიდობა ყოვლისმპყრობელი ღვთისა და იესო ქრისტეს, ჩვენი მაცხოვარისაგან! (იუდ. 2).

თავი I

ფილიპელთა ხოტბა

1. დიდად გავიხარე თქვენ გამო ჩვენს უფალში, იესო ქრისტეში, რადგან მიგიღიათ მაგალითები² ჭეშმარიტი სიყვარულისა და, როგორც შეგეფერებოდათ, გააცილეთ ისინი,³ შებორკილნი წმინდა ბორკილებით, რომლებიც წარმოადგენენ იმათ სამეფო დიადემებს, ვინც ჭეშმარიტად ჩვენი ღვთისა და უფლის მიერ არიან გამორჩეულნი. 2. მახარებს ასევე, რომ თქვენი რწმენის მტკიცე ფესვი, რომელიც ცნობილია ადრეული ხანებიდანვე, ჩვენს დრომდე მყოფობს და გამოაქვს ნაყოფი ჩვენს უფალ იესო ქრისტეში, რომელმაც ჩვენი ცოდვებისათვის სიკვდილი დაითმინა და რომელიც ალადგინა ღმერთმა მას შემდეგ, რაც

1. παροικῆσα სიტყვასიტყვით გულისხმობს უცხოობაში, უცხოეთში მყოფს, რაც ეხმიანება ჰერმასის *მწყემსს* (3.1). შდრ. ასევე, ნმ. კლიმენტის რომაელის პირველი ეპისტოლე, პროლოგი.

2. τα μύμνατα სიტყვასიტყვით: 'გამოსახულებანი', 'მიმბაძველობანი'.

3. იგულისხმებიან ბორკილდადებული ეგნატი ანტიოქიელი, ზოსიმე და რუფუსი (იხ. ქვემოთ, 9.1).

დახსნა ჯოჯოხეთის საღმრთო (შდრ. საქმე, 2.24). 3. იგი, რომელიც არ გინახავთ, გნამთ გამოუთქმელი და დიდებით აღსავსე სიხარულით (1პეტრე, 1.8), რომლის მიღწევაც მრავალს სწადია, რადგან იცით, რომ მაღლით ხართ დახსნილნი, დახსნილნი არა საქმეებით (ეფეს. 2.8-9), არამედ ღვთის ნებით, იესო ქრისტეს მეოხებით.

თავი II

მონოდება სათნოების მოქმედებისაკენ

1. ამიტომ, შემოისარტყლეთ წელნი (1პეტრე, 1.13; ეფეს. 6.14), ემსახურეთ ღმერთს მოშიშებასა და ჭეშმარიტებაში (ფსალ. 2.11), მიატოვეთ ამაო ფუჭსიტყვაობა და მრავალთა საცთური, ირწმუნეთ იმისა, ვინც მკვდრებით აღადგინა უფალი ჩვენი იესო ქრისტე და მიუბოძა მას დიდება (1პეტრე, 1.21) და ტახტი თავის მარჯვნივ, ის, რომელსაც მორჩილებს ყველაფერი ზეციური და მიწიერი (შდრ. ეფეს. 1.20-22, ფილ. 2.10), რომელსაც თავყანს სცემს ყოველი, რაც სუნთქავს, რომელიც მოვა მსაჯულად ცოცხალთა და მკვდართა (საქმე, 10.42), და რომლის სისხლსაც მოითხოვს ღმერთი იმათგან, ვისაც არ სწამს იგი.¹ 2. ხოლო ის, ვინც აღადგინა იგი მკვდრებით, ჩვენც აღგვადგენს (2კორ. 4.14), თუკი აღვასრულებთ მის ნებას და ვივლით მისი მცნებებით და გვეყვარება, რაც მას უყვარს, თუ განვეშორებით ყოველგვარ უსამართლობას, სიხარბეს, ვერცხლისმოყვარებას, ცილისწამებას, ცრუმონმეობას.² ნუ მიაგებთ ბოროტს ბოროტისათვის ან გინებას გინებისათვის (1პეტრე, 3.9), ან დარტყმას დარტყმისათვის, ან წყევლას წყევლისათვის. 3. არამედ გვახსოვდეს, რაც თქვა უფალმა, მასწავლელმა: „ნუ განიკითხავთ, რომ არ განიკითხოთ; მიუტყვევთ, და მოგეტყვევებთ თქვენ; შეინყალებთ, რათა შენყალებულ იქნეთ თქვენ; რომელი საწყაულითაც მიუწყავთ, იმ საწყაულითვე მოგენყვით თქვენ“ (მათე, 7.1-2, 5.7; ლუკა, 6.36-38), და რომ „ნეტარ არიან გლახაკნი და დევნილნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არის სასუფეველი ღვთისა“ (მათე, 5.3,10; ლუკა, 6.20).

1. ანუ მაცხოვარი.

2. შდრ. დიდაქე, 2.3.

თავი III ავტორის თავმდაბლობა

1. ამ ყველაფერს, ძმებო, გნეროთ სიმართლის შესახებ არა იმის გამო, რომ საკუთარმა თავმა წამაქეზა ამაზე, არამედ რადგანაც თქვენ თვითონ გამოიმინვიეთ. 2. ვინაიდან არც მე და არც სხვას ვისმე, ჩემს მსგავსს, არ შეუძლია, მისდიოს ნეტარი და სახელოვანი პავლეს სიბრძნეს, რომელიც თქვენთან ყოფნისას მაშინდელ ადამიანთა წინაშე დაზუსტებით და სარწმუნოდ ასწავლიდა სიტყვას ჭეშმარიტების შესახებ. მანვე გამგზავრების შემდეგ მოგწერათ ეპისტოლეები, რომელთაც თუ გულდასმით ჩაუკვირდებით, შესძლებთ მიიღოთ სულიერი აღშენება თქვენთვის გადმოცემულ სარწმუნოებაში, 3. რომელიც არის დედა ყველა ჩვენგანისა (გალ. 4.26), რომელსაც მოსდევს იმედი, ხოლო უძღვის სიყვარული ღვთის, ქრისტეს და მოყვასის მიმართ. ვისაც ისინი შინაგანად მოუპოვებია¹ (1კორ. 13.13), მან აღასრულა სიმართლის მცნება, ვინაიდან ვისაც სიყვარული გააჩნია, იგი შორს არის ყოველგვარი ცოდვისაგან (შდრ. რომ. 13.8-10).

თავი IV სხვადასხვა შეგონებები

1. ყოველგვარ ბოროტებათა დასაბამი ვერცხლისმოყვარებაა. ხოლო ვინაიდან ვიცით, რომ არაფერი შემოგვიტანია ამქვეყნად და არც არაფერს გავიტანთ (1ტიმ. 6.10,7), შევიჭურვოთ სიმართლის საჭურველით (შდრ. 2კორ. 6.7) და თავდაპირველად საკუთარ თავს ვასწავლოთ უფლის მცნებით სიარული. 2. შემდეგ თქვენს ცოლებსაც, რომ იარონ მათთვის მიცემული რწმენით, სიყვარულით და უბიწოებით, რომ ეტრფოდნენ საკუთარ ქმრებს სრული სიმართლით და უყვარდეთ ყველა ადამიანი ერთნაირად, სრული უმნიკვლოებით, რომ აღზარდონ შვილები მათთვის ღვთის მოშიშების სწავლებით. 3. ქვრივებს კი ჰმართებთ, იყვენენ კეთილგონიერნი უფლის რწმენის მი-

1. სიტყვასიტყვით: ვისაც ისინი (სარწმუნოება, იმედი და სიყვარული) შინაგანად გააჩნია.

მართ, უწყვეტლივ ქომაგობდნენ ყველას და შორს იყვნენ ყოველგვარი ცილისწამების, ფუჭსიტყვაობის, ცრუმონმეობის, ვერცხლისმოყვარებისა და ყოველგვარი ბოროტებისაგან. მათ უნდა იცოდნენ, რომ ისინი ღვთის საკურთხეველი არიან, რომ ღმერთი ყველაფერს აკვირდება და დაფარული არაფერია მისგან, არც ფიქრები, არც ზრახვები, არც გულის საიდუმლონი¹ (შდრ. 1კორ.14.25).

თავი V

დიაკონთა, ყმანვილთა და ქალწულთა მოვალეობანი

1. ამდენად, რადგანაც ვიცით, რომ „ღმერთი არა შეურაცხ-იქმნების“² (გალ. 6.7), მისი მცნებისა და დიდების შესაფერისად გვმართებს სვლა. 2. მსგავსად ამისა, დიაკვნებიც, როგორც ღვთისა და ქრისტეს მსახურნი, უმნიკვლონი უნდა იყვნენ არა ადამიანთა, არამედ მისი სამართლის წინაშე; ისინი არ უნდა იყვნენ ცილისმწამებელნი, არც ორპირნი, არამედ არავერცხლისმოყვარენი, თავშეკავებულნი ყველაფერში, გულმონყალენი, მზრუნველნი, უფლის ჭეშმარიტების მიხედვით მავალნი, უფლისა, რომელიც ყველას მსახური გახდა (შდრ. მარკ. 9.35), რომელსაც, თუკი ჩვენ ამჟამინდელ ხანაში სათნო-ვეყოფით, მომავალსაც მოვიპოვებთ, რადგანაც დაგვპირდა, რომ აღგვადგენს მკვდრეთით და რომ თუკი მისი ღირსი ცხოვრებით ვიცხოვრებთ და თუკი რწმენა გვექნება, მასთან ერთადაც კი ვიმეფებთ (2ტიმ. 2.12). 3. ამის მსგავსად, ყმანვილებიც უმნიკვლონი უნდა იყვნენ ყველაფერში, უპირველეს ყოვლისა კი უნდა ზრუნავდნენ უბინოებაზე და შეიკავონ თავი ყოველგვარი ბოროტებისაგან. ვინაიდან კარგია განშორება ამქვეყნიურ გულისთქმათაგან, რადგან ყოველი გულისთქმა სულიწმინდის წინააღმდეგ იბრძვის (1პეტრე, 2.11; გალ. 5.16-17), და ვერც მეძავნი, ვერც ჩუკენნი, ვერც მამათმავალნი, ღვთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ (1კორ. 6.9-10), ვერც ისინი, ვინც შეუფერებელს სჩადიან. ამიტომ, საჭიროა განშორება ყოველივე

1. შდრ. წმ. კლიმენტი რომაელის პირველი ეპისტოლე, 21.3.

2. Θὸς οὐ μιστῆριζέται.

ამისაგან, და მორჩილება მღვდელთა და დიაკონთა,¹ როგორც ღვთისა და ქრისტეს მიმართ (შდრ. 1პეტრე, 5.5);² ქალწულებს კი უბინო და უმნიკვლო სინდისით ჰმართებთ სიარული.

თავი VI

მღვდელთა და სხვათა მოვალეობანი

1. მღვდლები უნდა იყვნენ გულმონყალენი და ღმობიერნი ყველას მიმართ, მოაქციონ შეცთომილნი (ეზეკ. 34.4), მონახულონ ყველა უძლური და არ უგულუბელყონ ქვრივი, ობოლი ან გლახაკი, არამედ მუდმივად ზრუნავდნენ სიკეთეზე ღვთისა და ადამიანთა წინაშე (შდრ. იგავ. 3.4; რომ. 12.17; 1კორ. 8.12), თავი შორს ეჭიროთ ყოველგვარი მრისხანების, თვალთმაქცობისა და უსამართლო გადაწყვეტილებისაგან, განერიდონ ყოველგვარ ვერცხლისმოყვარებას, არ იყვნენ მალემრწმენნი ვინმეს წინააღმდეგ,³ არ იყვნენ მკაცრნი სასამართლოზე, არამედ იცოდნენ, რომ ცოდვის ვალი ყველას გვანევს. 2. ამიტომაც, თუკი ვევედრებით უფალს, რომ შეგვინდოს ჩვენ, ჩვენც უნდა შევეუზნოთ, რადგან უფლისა და ღმერთის თვალთა წინაშე ვიმყოფებით, რადგან ყველა უნდა წარსდგეს ქრისტეს სამსჯავროს წინაშე და თითოეულმა უნდა აგოს პასუხი საკუთარი თავის გამო (რომ. 14.10-12). 3. ამიტომაც, ვემსახუროთ მას მოშიშებითა და ყოველგვარი კრძალვით (შდრ. ებრ. 12.28), როგორც მან მცნებად დაგვიდო, და როგორც გვახარეს მოციქულებმა და წინასწარმეტყველებმა, რომლებმაც წინასწარ გვიქადაგეს მოსვლა უფლისა ჩვენისა; ვიყოთ მოშურნენი სიკეთის მიმართ, განვერიდოთ საცთურებს, ცრუ ძმებსა (შდრ. 2კორ. 11.26; გალ. 2.4) და მათ, ვინც მოჩვენებითად ატარებს უფლის სახელს⁴ და ფუქსავატ ადამიანებს აცდენს გზიდან.

1. აღსანიშნავია, რომ სიტყვა „ეპისკოპოსი“ (ἐπίσκοπος), სათაურის გარდა, ამ ეპისტოლეში არსად გვხვდება. არ არის გამოყენებული არც სიტყვა „მღვდელმთავარი“ (ἀρχιερέας).

2. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ტრალისელთა მიმართ*, 3.1.

3. იგულისხმება, ვინმეს წინააღმდეგ ნათქვამი სიავის დაჯერებისას.

4. ანუ ქრისტიანის სახელს.

თავი VII

მოერიდეთ ცრუ მოძღვრებებს, ილოცეთ და იმარხულეთ

1. ყოველი, ვინც არ აღიარებს იესო ქრისტეს ხორციელად მოსვლას, ანტიქრისტია (1იოანე, 4.2-3). ის, ვინც არ აღიარებს ჯვრის მტკიცებულებას, ეშმაკისგანაა. ის, ვინც უფლის სიტყვებს გამოიძიებს საკუთარ გულისთქმათა მიხედვით და იტყვის, რომ არც აღდგომა არსებობს და არც სამსჯავრო, იგი სატანის პირმოა.¹ 2. ამიტომ, მივანებოთ თავი მრავალთა ამაოებას და ცრუმოძღვრებებს და მივუბრუნდეთ დასაბამიდან ჩვენთვის გადმოცემულ სიტყვას, ვიფხიზლოთ ლოცვებში (1პეტრე, 4.7), ერთგულად გავაგრძელოთ მარხვათა შენახვა და ლოცვებით შევევედროთ ყოვლისმჭვრეტელ ღმერთს, ნუ შეგვიყვანს ჩვენ განსაცდელში (მათე, 6.13). როგორც თქვა უფალმა: „სული მხნეა, ხორცი კი უძლური“ (მათე, 26.41; მარკ. 14.38).

თავი VIII

გქონდეთ იმედი და მოთმინება

1. უწყვეტლივ გვეპყრას ჩვენი იმედი და წინდი ჩვენი სიმართლისა, რომელიც არის ქრისტე იესო, რომელმაც საკუთარი სხეულით აიტანა ჩვენი ცოდვები ჯვარზე, რომელსაც ცოდვა არ ჩაუდენია, არც დასჩენია ზაკვა მის ბაგეს (1პეტრე, 2.22,24), არამედ ჩვენს გამო, იმისათვის, რომ გვეცხოვრა მასში, დაითმინა ყოველი. 2. მაშ მივბაძოთ მის სიმტკიცეს, და თუკი ვევნებით მისი სახელისთვის, განვადიდებთ მას, რადგან მან ასეთი მაგალითი მოგვცა საკუთარი თავით, და ჩვენ ეს ვინამეთ.

1. ამ მონაკვეთში ავტორი უპირისპირდება დოკეტების წვალებას, რომლის მიმდევრებიც უარყოფდნენ მაცხოვრის სხეულის ნამდვილობას, მის ვნებასა და აღდგომას, არამედ მიიჩნევდნენ, რომ ძე ღმერთმა მოჩვენებითად მიიღო კაცობრივი ბუნება და, შესაბამისად, არც მისი ვნება იყო ნამდვილი.

თავი IX¹ მოთმინების შეგონება

1. გვედრებით თქვენ ყველას, დაემორჩილოთ სიმართლის სიტყვას და გამოიჩინოთ ყოველგვარი მოთმინება, რომელიც იხილეთ საკუთარი თვალებით არა მხოლოდ ნეტარ ეგნატის, ზოსიმესა და რუფუსში, არამედ სხვებშიც, რომლებიც თქვენგან იყვნენ,² საკუთრივ პავლეში და დანარჩენ მოციქულებში. 2. დარწმუნებული იყავით, რომ თითოეულმა მათგანმა ამაოდ კი არ იღვანა (გალ. 2.2; ფილ. 2.16), არამედ რწმენითა და სიმართლით, და რომ ისინი იმყოფებიან მათთვის ჯეროვნად მიკუთვნებულ ადგილას, უფალთან, რომელთან ერთადაც დაითმინეს ვნება. რამეთუ მათ შეიყვარეს არა ეს სანუთრო (2ტიმ. 4.10), არამედ იგი, ვინც ჩვენთვის მოკვდა და ჩვენთვის იქნა ღვთის მიერ აღდგენილი მკვდრებით.³

თავი X სათნოების მოქმედება

1. ამიტომ, განმტკიცდით ამ სათნოებებში და უფლის მაგალითის მიჰყევით მტკიცენი და უცვალებელი რწმენაში, საძმოს მოყვარულნი და ერთმანეთის პატივისმცემენი, გაერთიანებულნი ქვეშარიტებაში, განმზადებულნი ერთიმეორის მიმართ საუფლო გულმონყალების გამოჩენისათვის, არავისი მომხაგებელი (შდრ. 1კორ. 15.58; 1პეტრე, 2.17; რომ. 12.10; იგავ. 3.28). 2. როდესაც შეგიძლიათ ქველმოქმედება, ნუ გადადებთ ამას, რადგან მონყალება სიკვდილისაგან ათავისუფლებს (ტობ. 4.10, 12.9). ერთმანეთის მორჩილნი იყავით ყველანი (ეფეს. 5.21), წარმართთა შორის უმნიკვლო გქონდეთ საქციელი, რათა თქვენი კეთილი საქმეების გამო თქვენც მიიღოთ ქება და არც უფალი იქნას თქვენ გამო დაგმობილი (1პეტრე, 2.12). 3. ვაი

1. ამ ქვეთავის ბერძნული ტექსტისათვის იხ. ევსევი კესარიელი, *ეკლესიის ისტორია*, 3.36.13.

2. სხვაგვარად რომ ითქვას: თქვენი წრიდან იყვნენ გამოსულნი.

3. ბერძნული ტექსტი აქ მთავრდება. ეპისტოლეს დარჩენილმა ნაწილმა ჩვენამდე ლათინური თარგმანის მეშვეობით მოაღწია.

მას, ვის გამოც დაგმოზილი იქნება უფლის სახელი (შდრ. ესა-
ია, 52.5).¹ ამდენად, ყველას ასწავლეთ თავშეკავება, რომელშიც
თავად ცხოვრობთ.

თავი XI

მწუხარება მღვდელ ვალენტისთან დაკავშირებით

1. მეტად დამწუხრებული ვარ ვალენტის გამო, რომელიც
ოდესღაც მღვდელი იყო თქვენთან, რადგან ამდენად უგულუბ-
ელყო მისთვის ბოძებული წოდება. ამიტომაც გაფრთხილებთ
თქვენ, თავი შორს დაიჭიროთ სიხარბისაგან და იყოთ უმნიჭ-
ვლონი და მართალნი. განერიდეთ ყოველგვარ ბოროტებას. 2.
ვინაიდან ვისაც თავად არ შეუძლია საკუთარი თავის მართვა,
როგორ უნდა უქადაგოს ეს სხვას? ვინც საკუთარ თავს ვერ გა-
ნაშორებს სიხარბისაგან, იგი კერპთმსახურებით იბილნება და
აღირაცხება წარმართთა შორის, რომელნიც უგულუბელყოფენ
უფლის სამსჯავროს (იერ. 5.4). ნუთუ არ ვიცით, რომ სამყა-
როს წმინდანები განსჯიან? ასე ასწავლის პავლე (1კორ. 6.2).
3. მეორე მხრივ, მე ასეთი არაფერი მიგრძენია და გამიგო-
ნია თქვენთან, რომელთა შორისაც იღვწოდა ნეტარი პავლე და
რომლებიც მისი ეპისტოლეს დასაწყისში ხართ მოხსენებულ-
ნი. ვინაიდან თქვენით იქადის იგი ყველა ეკლესიაში (2კორ.
3.2; 2თეს. 1.4), რომლებმაც მხოლოდ მაშინ შეიმეცნეს უფალი.
ჩვენ იმ დროს ჯერ არ ვიცოდით იგი. 4. ამიტომაც, ძმებო, მე-
ტად დამწუხრებული ვარ მისთვის² და მისი ცოლისათვის. დაე,
მისცეს მათ უფალმა ჭეშმარიტი მონანიება (შდრ. 2ტიმ. 2.25).
თქვენ კი იყავით კეთილგონიერნი ამ საკითხთან დაკავშირებით
და ასეთ ადამიანებს ნუ ჩათვლით მტრებად, არამედ გამოასწო-
რეთ ისინი, როგორც ვნებული და შეცთომილი ნევრები (2თეს.
3.15), რომ მთელი თქვენი სხეული ჯანმრთელი იყოს. როდესაც
ასე იქცევით, თქვენ საკუთარ თავს ალაშენებთ.

1. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე ტრალისელთა მიმართ*, 8.

2. იგულისხმება მღვდელი ვალენტი.

თავი XII

შეგონებანი სხვადასხვა სათნოებებთან დაკავშირებით

1. დარწმუნებული ვარ, რომ კარგად ხარტ განსწავლული წმინდა წერილში და არაფერი მასში თქვენთვის დაფარული არ არის; მე კი ეს მაძლი არ მომეცა. ვიცი მხოლოდ, რომ წმინდა წერილში ნათქვამია: „განრისხნებოდეთ და ნუ სცოდავთ“ (ფსალ. 4.5), და „ნუ ჩაესვენება მზე თქვენი რისხვისას“ (ეფეს. 4.26). ნეტარია, ვისაც ეს ახსოვს და ამის ცოდნა, დარწმუნებული ვარ, თქვენშიც არის. 2. ღმერთმა და ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მამამ, და თავად მარადიულმა უზენაესმა მღვდელმთავარმა,¹ ძემ ღვთისა, იესო ქრისტემ (ებრ. 6.20, 7.3),² ალგაშენოთ თქვენ რწმენასა და ჭეშმარიტებაში, და ყოველგვარ ღმობიერებასა და ურისხველობაში, მოთმინებასა და სულგრძელებაში, დათმენასა და სინმინდეში; და მოგმადლოთ წილი და ნაწილი თავის წმინდანთა შორის, და ჩვენც თქვენთან ერთად, და ყველას, ვინც ცხოვრობს ცისქვეშეთში, ვინც კი ინამებს ჩვენს უფალს და ღმერთს, იესო ქრისტეს, და მის მამას, რომელმაც აღადგინა იგი მკვდრეთით (გალ. 1.1). 3. ილოცეთ ყველა წმინდანისათვის (ეფეს. 6.18). ილოცეთ ასევე მეფეთათვის, ძალაუფლების მქონეთა და თავადთათვის (1ტიმ. 2.1-2), თქვენი მღვწეულებისა და მოძულეებისთვის, ჯვრის მტერთათვის, რათა ნაყოფი თქვენი³ ყველასათვის იყოს განცხადებული, რათა ამის მეშვეობით თქვენც სრულყოფილნი გახდეთ (მათე. 5.44, ფილიპ. 3.18, 1ტიმ. 4.15).

თავი XIII⁴

ეპისტოლეთა გადაცემის შესახებ

1. თქვენც და ეგნატამაც მომწერეთ მე, რომ თუკი ვინმე გაემგზავრება სირიაში, თქვენგანაც წაიღოს წერილები.⁵ შე-

1. „pontifex“.

2. შდრ. ასევე, წმ. პოლიკარპე სმირნელის მარტვილობა, 14.3.

3. იგულისხმება: ნაყოფი, გამოღებული სარწმუნოების მეშვეობით.

4. ამ თავის ბერძნული ტექსტი დაცულია ევსევი კესარიელის *ეკლესიის ისტორიაში*, 3.36.14-15.

5. იხ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე პოლიკარპეს მიმართ*, 7.2, 8.1.

გისრულებთ ამას, თუკი შესაფერისი შემთხვევა ჩამივარდება ხელთ ან თავად მე, ან სხვისი მეშვეობით, ვისაც გამოვაგზავნი, რომ დესპანობა გასწიოს თქვენთვისაც. 2. ეგნატის ეპისტოლეები, რომლებიც მან გამოგვიგზავნა, და სხვებიც, რომლებიც ჩვენ გვაქვს, როგორც ითხოვეთ, გამოგვიგზავნეთ. ისინი ამ ეპისტოლეს ერთვიან. მათგან დიდი სარგებლობის მიღება შეგიძლიათ, რადგან ისინი შეიცავენ სარწმუნოებას, სიმტკიცეს და ყოველგვარ შეგონებას, რომელიც ჩვენს უფალს უკავშირდება.¹ ხოლო თავად ეგნატისა და მასთან ერთად მყოფთა შესახებ რასაც დანამდვილებით გაიგებთ, ჩვენც შეგვატყობინეთ.


თავი XIV დასკვნა

ეს მოგწერეთ კრესკენის² მეშვეობით, რომელსაც თქვენ წინაშე პირადადაც გავუწიე შუამდგომლობა და ახლაც ვუნევე. ვინაიდან იგი ჩვენთან ცხოვრობდა უცთომელად და, დარწმუნებული ვარ, ასევე იქნება თქვენთანაც. ჩათვალეთ, რომ შუამდგომლობა გავუწიე მის დასაც, როდესაც ეს უკანასკნელი თქვენთან მოვა. იყავით უმნიკვლონი უფალ იესო ქრისტეში, იყოს მაღლი მისი ყველა თქვენგანთან. ამინ.

1. მთელი ეს თავი დამონმებულია ევსევი კესარიელის *ეკლესიის ისტორიაში*, 3.36.14-15, მომდევნო სტრიქონის გამოკლებით.

2. კრესკენი, სავარაუდოდ, იყო პოლიკარპე სმირნელის დესპანი, რომელმაც ფილიპელებს მისი ეპისტოლე ჩაუტანა. უდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე რომაელთა მიმართ*, 10.1.

წმინდა
პოლიკარპე სმირნელის
მარტვილობა



፡፡ ፊርድ ደክኑ ነባህ፡፡
ቶኑ፡ ስንኳኑ ሆነ
ፊርድ ደክኑ ነባህ፡፡



შესავალი

წმინდა პოლიკარპე სმირნელის მარტვილობა წარმოადგენს ქრისტიანული მონამეობის ჟანრის პირველ ნიმუშს, შესრულებულს საკუთრივ ქრისტიანთა დევნის პერიოდში, რომელიც დაწერილია კონკრეტული ისტორიული პირის შესახებ, მისი მონამეობრივი აღსასრულიდან უახლოეს ხანებში, კერძოდ, წლისთავამდე, როდესაც მორწმუნეებს შესაძლებლობა მიეცათ, აღესრულებინათ მისი „მარტვილობის დღეობა“ (18.3), ანუ 156-157 წწ. სწორედ ამის გამო შეაქვეთ განსახილველი თხზულება მოციქულებრივ მამათა შრომების კრებულში, მიუხედავად იმისა, რომ *მარტვილობის* ავტორი, მარკიონი¹ (20.1), მოციქულებრივ მამათა რიცხვს არ მიეკუთვნება.

წმ. პოლიკარპე სმირნელის მარტვილობა წარმოადგენს ავთენტურ თხზულებას, რომელიც დაწერილია, როგორც სმირნის ეკლესიის ცირკულარული ეპისტოლე და მიმართულია ფილომელიონის² ეკლესიის, მისი მეშვეობით კი მსოფლიოს ეკლესიებისადმი (პროლ., 20.1). როგორც წერილიდან ჩანს, ეს თხზულება ინახებოდა პოლიკარპე სმირნელის მონაფესთან, წმ. ირინეოს ლიონელთან (22.2).

ტექსტი გადაუწერია რამდენიმე გადამწერს, რომელთაგან უკანასკნელი იყო პიონიოსი. იგი, როგორც ვარაუდობენ, მოღვაწეობდა IV ს-ში და ხელთ ჰქონია განსახილველი თხზულების შემცველი მეტად გაცვეთილი ნუსხა (22.4).

1. ეს მარკიონი და მწვალტეხილი მარკიონი ორი სხვადასხვა პირია.
2. ქალაქი ფრიგიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

ხელნაწერები, რომელთაც ბერძნული ტექსტის გამოცემები ეყრდნობა, ამ დროისათვის შვიდ ნუსხას ითვლის. მათ შორის ხუთ ყველაზე მნიშვნელოვან ხელნაწერს წარმოადგენს: მოსკოვის წმინდა სინოდის ბიბლიოთეკის Codex Mosquensis 159 (XIII ს.), ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკის Codex Baroccianus 238 (XI ს.), პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის Codex Parisiensis Gr. 1452 (X ს.), იერუსალიმის მაცხოვრის წმინდა საფლავის მონასტრის Codex Hierosolymitanus (X ს.) და ვენაში დაცული Codex Vindobonensis Gr. Eccl. 3 (XI ს.). ყველა ეს ნუსხა მომდინარეობს ერთი არქეტიპიდან, გარდა მოსკოვის ხელნაწერისა, რომელიც მცირედ სხვაობს მათგან და რომლის უკანასკნელი თავიც (22.2-3), მეცნიერთა დაკვირვებით, დანარჩენ ხელნაწერებთან შედარებით უკეთესად არის დამუშავებული.

წერილის მნიშვნელოვანი ნაწილის დამონმებები, კერძოდ კი თთ. პროლ. 1.1, 8-19.1, 2-7, დაცულია ევსევი კესარიელის *ეკლესიის ისტორიაში* (4.15.1-45) და მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ტექსტის დასადგენად. ბერძნული ტექსტი შეტანილია *Patrologia Graeca*-ში: PG 5, სვ. 1029-1045. მისი კრიტიკული გამოცემისათვის კი იხ. Sources Chrétiennes-ის სერიით გამოქვეყნებული: *Ignace d'Antioche, Polycarpe de Smyrne: Lettres. Martyre de Polycarpe. Texte grec, introduction, traduction et notes de Pierre-Thomas Camelot. SC 10. 4e édition. Paris: Les éditions du Cerf, 1969, გვ. 195-239* (ბერძნული ტექსტი ფრანგული თარგმანით). არსებობს *მარტვილობის* ძველი ლათინური თარგმანიც, თუმცა იგი, პ.კამლოს დაკვირვებით, მეტად თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს.¹

მარტვილობის შემოკლებულ გადმოცემას ევსევის ნაშრომში მკვლევარები ხსნიდნენ იმით, რომ ტექსტი, რომელიც ევსევის ჰქონდა ხელთ, სწორედ ასეთი, შემოკლებული იყო. თუმცა, არსებობს ვარაუდიც, რომ *მარტვილობის* ზოგი მონაკვეთი, კერძოდ კი გადმოცემა პოლიკარპეს სასამართლოს შესახებ, მომდევნო ხანის რედაქტორებმა განავრცეს, შემოიყვანეს ისეთი მოქმედი პირები, რომლებიც სახარებასთან და პოლიკარპეს მონამეობის მაცხოვრის გასამართლებასთან

1. *Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 208.

მსგავსებას გაუსვამდა ხაზს და ჩვენამდე სწორედ ამ გავრცობილმა ტექსტმა მოაღწია. მეორე მხრივ, როდესაც ევსევი კესარიელი მარტივობას სიტყვასიტყვით იმონებებს, ამას ის მკითხველს საგანგებოდ მიუთითებს (იხ. 4.15.2, 4.15.15). დანარჩენ შემთხვევებში ის მხოლოდ მოუთხრობს მას მონამის ამბავს. მარტივობა კი, ევსევი კესარიელის ეკლესიის ისტორიის 4.15.46-48-ზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, არა თუ განვრცობილი, არამედ გარკვეულწილად შემოკლებულიც კი შეიძლება იყოს. ევსევის თანახმად, ამავე ტექსტში უნდა ყოფილიყო გადმოცემა სხვა მარტივლებზეც, რომლებმაც მიიღეს მონამეობა თითქმის პოლიკარპეს თანადროულად და რომელთა შორის იყო მარკიონის წვალების მიმდევარი მიტროდორე, რომელიც დანვეს.

გარდა ევსევი კესარიელთან დაცული დამონებებისა, არსებობს, ასევე, მარტივობის X ს-ის ლათინური თარგმანიც, რომელიც დამოუკიდებელ ვერსიას იძლევა, თუმცა ახალს არაფერს ჰმატებს ბერძნული დედნის მონაცემებს.

თხზულებაში გადმოცემულია წმ. პოლიკარპე სმირნელის უშუალოდ მონამეობამდელი ცხოვრების პერიოდი, მისი დევნისაგან განრიდება, სახლელულთა მიერ მისი გაცემა, დაკავება, გასამართლება, საკუთრივ მარტივობა და მისი წმინდა ნაწილების ბედი; ამასთან, მოთხრობილია სხვა მონამეების და მონამეობის ორი გზის შესახებ (მონამეობა უფლის ნებით და მონამეობა საკუთარი ნება-სურვილით, თთ. 2-4). გარდა ამისა, პოლიკარპეს მარტივობით ნაჩვენებია იდეალური მონამის სახე, რომლის მონამეობაც სახარების მოძღვრებას შეესატყვისება (1.1, 19.1). ტექსტს დასასრულს დაერთვის მითითება პოლიკარპეს მარტივობის გავრცელების აუცილებლობის შესახებ (თ. 20), პოლიკარპეს მონამეობრივი აღსრულების ქრონოლოგიური დათარიღება (თ. 21), პოლიკარპეს მაგალითის მიბაძვისაკენ მოწოდება (22.1) და გადამწერთა ჩამონათვალი (22.2-3), რომლებიც, როგორც ვარაუდობენ, ტექსტს დაუმატა ფილომელიონის საძმომ, კერძოდ, პიონიოსმა, დაახლ. IV ს-ში.

ტექსტში აღსანიშნავია წმ. პოლიკარპეს ვრცელი ლოცვა (14.1-3), რომელსაც იგი სიკვდილის წინ ამბობს. მასში ნათ-

ლად იკითხება ერთი მხრივ, ბიბლიური მოტივები, მეორე მხრივ კი პირველქრისტიანთა სულიერი სიმაღლე. მას მეცნიერები ქრისტიანობის ადრეული ხანის ევქარისტიულ ლოცვებს უახლოებენ. ამავე ლოცვაში ასახულია პირველქრისტიანთა ზოგიერთი სარწმუნოებრივი საკითხი, შეიძლება ითქვას, მრწამსი, კერძოდ, ნახსენებია სამება: მამა ღმერთი ყოვლისმპყრობელი (14.1, 19.2), ძე ღმერთი (14.1,3), სულიწმინდა, როგორც სულისა და სხეულისათვის უხრწნელების მიმანიჭებელი (14.2). ეს ლოცვა მეტად მნიშვნელოვანია ადრეული ქრისტიანული ლოცვის ისტორიისათვის.¹

მარტივობაში ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ არსად არის ნახსენები რომაული სამართლისათვის სავალდებულო ფორმალური ბრალდების აქტი პოლიკარპეს მიმართ, არც მისი განაჩენი. თუმცა, საკუთრივ გასამართლების წესი ისეთივეა, როგორსაც აღწერს პლინიუს უმცროსი თავის 113 წლის ახლო ხანებში დაწერილ ერთ-ერთ წერილში. ამ წერილის მიხედვით, ბითვინიისა და პონტოს პროვინციების ლეგატი-გამგებელი, პლინიუსი, ეკითხებოდა ბრალდებულებს, იყვნენ თუ არა ისინი ქრისტიანები. ვინც ამას აღიარებდა, სასჯელის მუქარით ჩაეკითხებოდა მეორედ და მესამედ, ჯიუტებს კი დასასჯელად აგზავნიდა.² აღსანიშნავია პლინიუსისადმი გაგზავნილი იმპერატორ ტრაიანეს მითითებაც. იმპერატორი სწერდა მას, რომ ქრისტიანები საგანგებოდ არ უნდა ეძებნათ, მაგრამ თუკი მათ დაასმენდნენ და ისინი ქრისტიანებად იქნებოდნენ მხილებულნი, ასეთები უნდა დაესაჯათ. შეწყალების ღირსი მხოლოდ ის ადამიანი შეიძლებოდა გამხდარიყო, ვინც უარს იტყოდა ქრისტიანობაზე და ამას საქმით დაამტკიცებდა – თაყვანს სცემდა ღმერთებს,³ სავარაუდოდ, მსხვერპლშენირვით (შდრ. 8.2).

განსახილველ ნაშრომში საყურადღებოა, ასევე, მონაკვეთები, რომლებშიც საუბარია ზოგადად მარტვილთა (17.3), კერძოდ კი პოლიკარპეს, როგორც მონამის, თაყვანისცემის შესახებ (18.2). ეს თხზულება ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ნაშ-

1. Quasten, *Patrology*, ტ. 1, გვ. 78-79.

2. პლინიუს უმცროსი, *წერილები*, 10.96.3.

3. პლინიუს უმცროსი, *წერილები*, 10.97.

რომია, რომელშიც მარტილთა და მათი წმინდა ნაწილების თაყვანისცემის, ასევე, მარტილთა წამების დღის, როგორც დღეობის (18.2) აღნიშვნის წესის შესახებ არის გადმოცემული.

ტექსტის მონაცემების თანახმად (იხ. თ. 21), წმ. პოლიკარპეს მარტილობა მომხდარა შაბათს, 155 წლის 23 თებერვალს ან 156 წლის 22 თებერვალს. აღნიშნული მონაცემები სადავოა, რადგან ევსევი კესარიელი *ქრონიკაში* პოლიკარპეს მარტილობას მიუთითებს იმპერატორ მარკუს ავრელიუსის ზეობის მეშვიდე წელს, ანუ 167-168 წწ., *ეკლესიის ისტორიაში* კი, ზოგადად, მარკუს ავრელიუსის ზეობას¹ (161-180 წწ.). 23 თებერვალი შაბათი იყო 166 წელს.

წმ. პოლიკარპე სმირნელის მარტილობა ქართულ ენაზე შემორჩენილია ძველი და თანამედროვე თარგმანებით. თანამედროვე ქართულ ენაზე ეს თხზულება ითარგმნა 1994 წელს: ქეთევან მათიაშვილი, „წმინდა პოლიკარპეს, სმირნის ეპისკოპოსის, წამება (თარგმანი)“, სადიპლომო ნაშრომი, თბილისის სასულიერო აკადემიის ქრისტიანული ანთროპოლოგიის ფაკულტეტი (მთარგმნელობითი ჯგუფი), თბილისი, 1994. სადიპლომო ნაშრომი შეიცავს შესავალს (გვ. 1-4), მოკლე გამოკვლევას ტექსტის შესახებ (გვ. 5-7), საკუთრივ თარგმანს (გვ. 8-17), თარგმანისათვის დართულ შენიშვნებს (გვ. 18-20) და ტექსტის სრულ ბერძნულ-ქართულ ლექსიკონს (გვ. 21-41). მას მოსდევს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული S 382 და K 1 ნუსხებიდან გადანერილი წამების ძველი ქართული თარგმანი, სათაურით: *ფებერვალსა კგ ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა პოლიკარპოს ზმირნელისაჲ* (გვ. 42-44), რომელიც სადიპლომო ნაშრომს თვალსაჩინოებისათვის აქვს დართული და მოცემულია გამოკვლევის გარეშე. ნამუშევარს ასრულებს ბიბლიოგრაფია (გვ. 45-47). მოციქულებრივი მამების თხზულებათა ქართულ თარგმანებს შორის ეს არის ერთადერთი ნაშრომი, რომელსაც

1. ევსევი კესარიელი, *ეკლესიის ისტორია*, 4.15.1. წმ. პოლიკარპეს მარტილობის სხვა თარიღების შესახებ იხ. ზემოთ, პოლიკარპე სმირნელის ფილიპელთა მიმართ დაწერილი ეპისტოლეს განხილვასთან, ასევე: *Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 199-200; *A dictionary of christian biography, literature, sects and doctrins, during the first eight centuries*. Vol. 4. Ed. W. Smith, H. Wace. London, 1887, გვ. 430-431.

ბერძნულ-ქართული ლექსიკონი დაერთვის. საკუთრივ ტექსტის თარგმანი მაღალ დონეზეა შესრულებული.

რაც შეეხება მარტვილობის ძველ ქართულ თარგმანს, იგი გადმოღებულია ბერძნული მეტაფრასული რედაქციიდან ულტრაელინოფილური სტილით, სავარაუდოდ, გელათის სკოლაში. ეს თარგმანი დაცულია ორ ხელნაწერში: S 382 (195r-198v, XII-XIII სს.) და K 1 (167v-170r, XVI ს.).

წმინდა პოლიკარპე სმიჩნელის მარტვილობა

პროლოგი

სმირნაში მსხემი¹ საღმრთო ეკლესია ფილომელიონის² საღმრთო ეკლესიას და მსოფლიოს ყოველი მხარის წმინდა და კათოლიკე ეკლესიის ყველა საძმოს გისურვებთ, გიმრავლოთ მამა ღმერთისა და ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს წყალობა, მშვიდობა და სიყვარული (იუდ. 2).

თავი I

წმ. პოლიკარპე – სახარებისეული მარტვილობის ნიმუში

1. მოგწერეთ, ძმებო, მოწამეებისა და ნეტარი პოლიკარპეს შესახებ, რომელმაც საკუთარი მარტვილობით თითქოს ბეჭედი დაუსვა და დასასრული დაუდო (ქრისტიანთა) დევნას. ვინაიდან თითქმის ყველაფერი, რაც უფრო ადრე მოხდა, მოხდა იმისათვის, რომ უფალს კიდევ ერთხელ ეჩვენებინა სახარების შესატყვისი მარტვილობა. 2. პოლიკარპე, ისევე, როგორც უფალი, მოთმინებით ელოდა, რომ გასცემდნენ, რათა მისი მიმბაძველნი გავმხდარიყავით და გვეფიქრა არა მხოლოდ იმაზე, რაც ჩვენს საკუთარ თავს ეხება (შდრ. ფილ. 2.4), არამედ იმაზეც, რაც ეხ-

1. შდრ. წმ. კლიმენტი რომაელის პირველი ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ, პროლოგი.

2. რომაული წარმოთქმით, ფილომელიუმი (Philomelium), ქალაქი ფრიგიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

ება მოყვასს, ვინაიდან ჭეშმარიტ და უეჭველ სიყვარულს ახასიათებს არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ ყოველი ძმის გადარჩენის ნადილი.

თავი II

უნინდელ მარტვილთა სიმტკიცის შესხმა

1. ნეტარი და კეთილშობილურია ყველა მარტვილობა, რომელიც ღვთის ნებით ხდება. ჩვენ კი, როგორც ღმრთივგანკრძალულნი, ღმერთს უნდა ვაკუთვნებდეთ ხელმწიფებას ყველაფერზე. 2. ვის არ განაცვიფრებს მოწამეთა სულიერი კეთილშობილება, მოთმინება და მეუფის სიყვარული? ისინი, რომელთაც შოლტებით იქამდე გვემდნენ, რომ შეიძლებოდა მათი სხეულის აგებულების ხილვა, შიდა ძარღვებისა და არტერიების ჩათვლით, ითმენდნენ, მაშინ, როდესაც გარშემო მდგომებს ებრალებოდათ ისინი და დასტიროდნენ მათ. მოწამეებმა ისეთ სიმტკიცეს მიაღწიეს, რომ მარტვილობისას არცერთ მათგანს ხმა არ ამოუღია, არც დაუკვნესია, არამედ ყველა ჩვენგანს უჩვენეს, რომ იმ დროს, როდესაც მათ აწამებდნენ, ქრისტეს მარტვილები გამოსულნი იყვნენ სხეულიდან,¹ ან უკეთ, რომ იმ დროს მათ იქვე მდგომი უფალი ესაუბრებოდა. 3. მოწამეებმა ქრისტეს მადლს მიაპყრეს გულისყური, მოიძულეს ამქვეყნიური ტანჯვა-წამება და ერთი საათის განმავლობაში საუკუნო სიცოცხლე მოიპოვეს. გრილი იყო მათთვის არაადამიან მტარვალთა ცეცხლი, რადგან საუკუნო და ჩაუქრობელი ცეცხლისაგან გადარჩენა ედგათ თვალწინ, გულის თვალებით კი ჭვრეტდნენ დამთმენთათვის შენახულ სიკეთეებს, რომლებიც არც ყურს სმენია, არც თვალს უხილავს და არც კაცს გაუვლია გულში (ესაია, 64.3; 1კორ. 2.9), და რომლებიც უფალმა აჩვენა მათ, რადგან ისინი უკვე აღარ იყვნენ ადამიანები, არამედ ანგელოზები. 4. საზარელ სასჯელს ითმენდნენ ისინიც, ვისაც მხეცების საკბილოდ ყოფნა მიესაჯა. მათ ბასრ ნიჟარებს უგებ-

1. იგულისხმება, რომ მოწამეებმა ისე დაითმინეს მარტვილობა, თითქოს გამოსულნი ყოფილიყვნენ სხეულიდან, თითქოს უსხეულონი ყოფილიყვნენ.

დნენ ქვეშ და გვემდნენ ნაირნაირ სასჯელთა სხვადასხვაგვარი სახით, რათა, თუკი ეს შესაძლებელი იქნებოდა, დასჯის განგრძობით რწმენის უარყოფამდე მიეყვანათ.

თავი III

მარტვილ გერმანიკოსის სიმტკიცე

1. მრავალი რამ გამოიგონა მონამეთა წინააღმდეგ ეშმაკმა.¹ მაგრამ მადლობა ღმერთს, ყველას ვერ სძლია.² მათ სულმოკლეობას საკუთარი სიმტკიცით მხნეობა შეჰმატა უკეთილშობილესმა გერმანიკოსმა, რომელიც მხეცებს სამაგალითოდ შეებრძოლა. როდესაც პროკონსულმა³ მოინადინა მისი დარწმუნება და უთხრა, შეებრალებინა საკუთარი ასაკი,⁴ გერმანიკოსმა აიძულა მხეცი, თავს დასხმოდა,⁵ რადგან სურდა, სწრაფად გათავისუფლებულიყო მათი უსამართლო და უსჯულო ცხოვრებისაგან. 2. მაშინ მთელმა ბრბომ, გაოცებულმა ქრისტიანთა ღვთისმოყვარე და ღვთისმოსავი მოდგმის სიამაყით, დაიძახა: – სიკვდილი უღმერთოებს,⁶ მოიძებნოს პოლიკარპე!

1. ამ წინადადებას ლათინურად წინა თავს მიაკუთვნებს (გვ. 190), კრიტიკულ გამოცემაში კი ის III თავის დასაწყისშია წარმოდგენილი (გვ. 214-215).

2. κατά πάντων γὰρ οὐκ ἴσχυσε. ეს მონაკვეთი კრიტიკულ გამოცემაში შემდეგნაირად არის გადმოღებული: „მან ვერც ერთ მათგანზე ვერ გაიმარჯვა“ (“il ne put l’empporter contre aucun d’entre eux“, გვ. 215).

3. τὸν ἀρχπαύτου. პროკონსულად, ანუ პროვინციის გამგებლად რომაული სენატის მიერ ერთი წლით ინიშნებოდნენ ყოფილი კონსულები კონსულობის ვადის ამონურვის შემდეგ. როგორც ჩანს, აქ საუბარია ლუციუს სტატიუს კვადრატუსზე (შდრ. თ. 21), რომელსაც პროკონსულის თანამდებობა ეკავა 142 წელს. განსახილველი ტექსტიდან ცხადია, რომ იგი ქრისტიანთა მიმართ მეტად კეთილგანწყობილი ყოფილა (შდრ. თთ. 4, 9.2, 10; შდრ. მათე, 27.24). იხ. ასევე, *Ignace d’Antioche*, 1969, გვ. 214, შენ. 3.

4. ევსევი კესარიელის გადმოცემით, გერმანიკოსი სრულიად ყმანვილი იყო (καταβὴν ἑὸν ὄψα, *ეკლესიის ისტორია*, 4.15.5).

5. შდრ. წმ. ეგნატი ანტიოქიელი, *ეპისტოლე რომაელთა მიმართ*, 5.2.

6. იგულისხმებიან ქრისტიანები, რომლებიც არ სცემდნენ თავყვანს რომაული პანთეონის ღმერთებს.

თავი IV

კვინტუსის განდგომა მარტვილობიდან

ერთმა ფრიგიელმა, სახელად კვინტუსმა,¹ რომელიც ახლანახანს ჩამოვიდა ფრიგიიდან, დაინახა მხეცები და შეშინდა. ეს იყო ადამიანი, რომელმაც საკუთარ თავსაც და სხვებსაც აიძულა იქ მისვლა.² პროკონსულმა მრავალი თხოვნის შემდეგ დაიყოლია იგი, ფიცი დაედო და ზვარაკი შეენირა. სწორედ ამის გამო, ძმებო, არ ვინონებთ მათ, ვინც თავად გასცემს საკუთარ თავს, რადგან სახარება ასე არ ასწავლის (შდრ. მათე, 10.23).³

თავი V

პოლიკარპეს ხილვა

1. თავიდანვე, როდესაც შეიტყო ეს ამბავი, უსაკვირველესი პოლიკარპე არ შეძრწუნებულა, არამედ ქალაქში დარჩენა მოინადინა. მაგრამ მრავალი ადამიანი არწმუნებდა მას, გასცლოდა ქალაქს. ისიც რამდენიმესთან ერთად გადასახლდა პატარა მამულში, რომელიც არ იყო შორს ქალაქიდან, და იქ ღამით დადღისით სხვას არაფერს აკეთებდა, არამედ, როგორც ეს სჩვეოდა, ლოცულობდა ყველა ადამიანისა და მსოფლიოს ყველა ეკლესიისათვის. 2. სამი დღით ადრე, ვიდრე შეიპყრობდნენ, ლოცვისას პოლიკარპეს ხილვა ჰქონდა. მან იხილა, რომ მის ბალიშს ცეცხლი ეკიდა, მობრუნდა და მასთან მყოფ ხალხს უთხრა:

– მე ცოცხლად უნდა დავინვა.

თავი VI

პოლიკარპეს გაცემა მონის მიერ

1. ვინაიდან მის ძებნას კვლავაც აგრძელებდნენ, პოლიკარპე სხვა მამულში გადასახლდა. უმაღლე მოვიდნენ ისინი, ვინც მას

1. ბერძნული დედნის მიხედვით, კონიტოსმა (Κόνιτος).
2. იგულისხმება, მისულიყვნენ სასამართლოზე ქრისტიანობის გამო სანამებლად.
3. შდრ. კლიმენტი ალექსანდრიელი, *ხალიჩები*, 4.17.

ექებდა, მაგრამ იგი ვერ იპოვეს და შეიპყრეს ორი ყმანვილი მონა, რომელთაგან ერთმა წამებისას აღიარა (პოლიკარპეს ადგილსამყოფელი). 2. პოლიკარპე ველარ შესძლებდა დამალვას, რადგან მისი გამცემნი მისი სახლეულები იყვნენ (შდრ. მათე, 10.36). მშვიდობისმყოფელთა უფროსმა,¹ რომელსაც იმავე სახელს უწოდებდნენ და ჰეროდე ჰქონდა მეტსახელად, ისწრაფა, რომ პოლიკარპე სტადიონზე მიეყვანა, რათა მას აღესრულებინა თავისი ხვედრი და გამხდარიყო ქრისტეს თანაზიარი, მის გამცემთ კი თავად იუდას სასჯელი მიეღოთ.

თავი VII

პოლიკარპეს პოვნა მდევართა მიერ და დაპატიმრება

1. ამგვარად, პარასკევს, სადილობის ჟამს, თან გაიყოლეს ყმანვილი მონა, და მდევრები და მხედრები თავიანთი ჩვეული იარაღით გავიდნენ, ამასთან, ჩქარობდნენ, როგორც ავაზაკის წინააღმდეგ (გალაშქრებისას) (მათე, 26.55). საღამო ხანს, როდესაც მივიდნენ, პოლიკარპე ზედა სართულზე, ერთ-ერთ ოთახში იპოვეს მწოლარე. მას შეეძლო იქიდან სხვა ადგილას წასულიყო, მაგრამ არ მოისურვა, არამედ თქვა: „იყოს ნება ღვთისა!“ (მათე, 6.10; საქმე, 21.14). 2. როცა გაიგონა, რომ (მდევრები) იქ იყვნენ, ჩამოვიდა და ესაუბრა მათ. მისი მნახველნი გაოცდნენ მისი ასაკისა და სიმშვიდის გამო და უკვირდით, ნუთუ საჭირო იყო ამგვარი სისწრაფის გამოჩენა ასეთი მოხუცებული ადამიანის შესაპყრობად. პოლიკარპემ უმაღვე ბრძანა, იმავე წუთს მიეტანათ მათთვის საჭმელი და სასმელი, რამდენსაც ინებებდნენ, და შესთხოვა მათ, მიეცათ მისთვის დრო მშვიდად ლოცვისათვის. 3. მათი თანხმობის მიღების შემდეგ, ფეხზე მდგომარემ ილოცა და იმდენად აღივსო ღვთის მადლით, რომ ორი საათის განმავლობაში ვერ შეძლო დადუმება და მსმენელები განაცვიფრა, მრავალნი კი უკვე ნანობდნენ მოსვლას ასეთი ღმრთივსახიერი მოხუცებულის წინააღმდეგ.

1. ἑπίσκοπος იყო პოლიციის უფროსის თანამდებობა.

თავი VIII პოლიკარპეს ცოუნების მცდელობა

1. მას შემდეგ, რაც დაასრულა ლოცვა და მოიხსენია ყველა, ვინც კი ოდესმე შეხვედრია, დიდი და პატარა, ნარჩინებული და უჩინო, და მსოფლიოს მთელი კათოლიკე ეკლესია, დადგა ნასვლის ჟამიც. პოლიკარპე შესვეს ვირზე და ქალაქში წაიყვანეს. დიდი შაბათი იდგა. 2. გზად პოლიკარპეს შეხვდა მშვიდობისმყოფელთა უფროსი ჰეროდე და მისი მამა, ნიკეტესი, რომლებმაც გადმოსვეს იგი თავის ეტლში¹ და, გვერდზე მსხდომნი, არწმუნებდნენ და ეუბნებოდნენ:

– განა რა არის იმაში ცუდი, რომ თქვა: „კეისარი უფალია“,² რა არის ცუდი მსხვერპლშენიროვასა და მასთან დაკავშირებული წესების აღსრულებაში,³ და ცოცხლად გადარჩენაში?

თავდაპირველად მოხუცი არ პასუხობდა მათ, მაგრამ ვინაიდან ისინი აგრძელებდნენ მის დარწმუნებას, მიუგო:

– არ ვაპირებ იმის გაკეთებას, რასაც მირჩევთ.

3. ისინი კი, რადგანაც დაკარგეს მისი დარწმუნების იმედი, დაემუქრნენ და სასწრაფოდ ჩააგდეს იგი ეტლიდან, ისე, რომ ეტლიდან ჩასულმა წვივი გადაიტყავა. მაგრამ წმინდა მამა უკან არ მობრუნებულა და, თითქოს არაფერი შეემთხვა, აჩქარებით გააგრძელა გზა სტადიონისაკენ, საითაც მიჰყავდათ. სტადიონზე ამ დროს ისეთი ხმაური იდგა, რომ შეუძლებელი იყო ვინმეს ხმის გაგონება.

1. Καρπῆα იყო მაღალი წრის ქალბატონებისა და დიდმოხელეების დახურული, ძვირფასი ეტლი (იქვე, გვ. 219, შენ. 6).

2. რომში არსებობდა იმპერატორთა ღმერთად შერაცხვის ჩვეულება, რომელსაც აპოთეოზს უწოდებდნენ. პირველი მმართველი, რომელიც ღმერთად იქნა შერაცხული, იყო გაიუს იულიუს კეისარი. იმპერატორთა ღმერთად შერაცხვის ცერემონიალს დაწვრილებით გადმოსცემს III ს-ის ბერძენი ისტორიკოსი, ჰეროდოიანე, თხზულებაში *რომის ისტორია ღვათაებრივი მარკუს ავრელიუსის გარდაცვალების შემდეგ*, 4.2 (Hérodien. *Histoire Romaine depuis la mort de Marc-Aurèle jusqu'à l'Avènement de Gordien III*. Trad. Léon Halévy. Paris, 1860, გვ. 138 და შემდ.).

3. სიტყვასიტყვით: ყველაფერში, რაც მას მოსდევს (τὰ τούτοις ἀκίλοισθα).

თავი IX

პოლიკარპეს გასამართლება, მისი უარი მაცხოვრის ძაგებაზე

1. პოლიკარპეს შესვლისას სტადიონზე, ზეციდან გაისმა ხმა: „განძლიერდი, პოლიკარპე, და გამხნევდი!“ (2სჯ. 31.6,23; ნავ. 1.6,7,9,18; 1ნემტ. 28.20). ამის მთქმელი არავის დაუნახავს, ხმა კი იქ მყოფმა ჩვენთანებმა მოისმინეს. მოგვიანებით, როდესაც იგი მიჰყავდათ და ხალხმა გაიგონა, რომ პოლიკარპე შეპყრობილი იყო, დიდი ხმაური ატყდა. 2. პროკონსულმა იგი თავის წინაშე მიაყვანინა და ჰკითხა, იყო თუ არა იგი პოლიკარპე. ხოლო როცა პოლიკარპემ აღიარა ეს, არწმუნებდა, უარი ეთქვა და ეუბნებოდა: „შეიბრალე შენი ასაკი“, და სხვა, რაც ამას მოსდევს, როგორც წესად აქვთ მათ, რომ თქვან:

– დაიფიცე კეისრის ფორტუნა,¹ შეიცვალე შეხედულება და თქვი: „სიკვდილი უღმერთოებს“!

პოლიკარპემ კი მტკიცე სახით შეხედა სტადიონზე შეკრებილი უსჯულო წარმართების მთელ ბრბოს, გაიშვირა მათკენ ხელი, ამოიოხრა, აღიხილა ზეცისაკენ და თქვა:

– სიკვდილი უღმერთოებს!

3. ხოლო პროკონსული დაჟინებით უმეორებდა და ეუბნებოდა:

– დაიფიცე და გაგიშვებ, დაგმე ქრისტე!

მიუგო მას პოლიკარპემ:

– ოთხმოცდაექვსი წელია ვემსახურები მას და ჩემთვის ცუდი არაფერი გაუკეთებია, როგორ შემიძლია დავგმო ჩემი მეუფე, ჩემი მხსნელი?

1. Ἡ Καίσαρος τύχη. ფორტუნას (ილბალის) კულტი თავდაპირველად შემოღებული იქნა სერვიუს ტულიუსის მიერ. იმპერატორთა ხანაში კი წარმოიშვა კეისრის ფორტუნის (“Fortuna Caesaris”) კულტი, რომელიც ითვლებოდა კეისრისა და მისი გვარის მფარველად. პლუტარქეს გადმოცემით, ერთი მეტად სახიფათო ნაოსნობისას, კეისარმა გემის მესაჭე ამგვარად გაამხნევა: „ნურაფრის გეშინია! კეისარი მიგყავს და, მასთან ერთად, კეისრის ფორტუნა“ (კეისარი, 38). კეისრის ფორტუნის დაფიცება მის ღმერთად აღიარებას და ქრისტიანობიდან განდგომას უტოლდებოდა.

თავი X

პოლიკარპე ამაყად აცხადებს თავის ქრისტიანობას

1. მაგრამ როდესაც პროკონსულმა კვლავ გააგრძელა მისი დარწმუნება და ეუბნებოდა: „დაიფიცე კეისრის ფორტუნა“, მან უპასუხა:

– თუკი შენ გგონია, რომ, როგორც შენ ამბობ, კეისრის ფორტუნას დავიფიცებ, და თავს მაჩვენებ, თითქოს არ იცი, ვინ ვარ, მოისმინე მთელი პირდაპირობით ნათქვამი: ქრისტიანი ვარ!¹ თუკი ქრისტიანობის² მოძღვრების სწავლა გინდა, დათქვი დღე და მოისმინე.

2. პროკონსულმა უთხრა:

– ხალხი დაარწმუნე!

პოლიკარპემ კი მიუგო:

– მე მხოლოდ შენ გთვლი საუბრის ღირსად, რადგან ჩვენ გვასწავლეს, მიგვეგო ღვთის მიერ დადგენილ მთავართა და ხელისუფალთათვის შესატყვისი პატივი (რომ. 13.1-7; 1პეტრე, 2.13-14; ტიტ. 3.1; იუდ., 8), თუკი ეს ჩვენ ზიანს არ მოგვაცენებდა. ამ ხალხს კი არ ვთვლი ღირსად, რომ მათ წინაშე საკუთარი თავი დავიცვა.

თავი XI

პროკონსულის მუქარა და პოლიკარპეს სიმტკიცე

1. პროკონსულმა უთხრა:

– მხეცები მყავს, იმათ მივცემ შენს თავს, თუკი აზრს არ შეიცვლი.

მან კი მიუგო:

– დაუძახე! ჩვენ არ გვჩვევია უკეთესის გაცვლა უარესზე. კარგი ის არის, თუ ბოროტება სამართლიანობად შეიცვლება.

2. მაგრამ პროკონსულმა ისევ მიმართა მას:

– რადგან მხეცებს არად აგდებ, ცეცხლში დავანვევინებ შენს თავს, თუკი აზრს არ შეიცვლი.

პოლიკარპემ კი:

1. შდრ. ევსევი კესარიელის *ეკლესიის ისტორია*, 5.1.10,19,20.

2. τὸν χριστιανισμὸν.

– შენ იმუქრები ცეცხლით, რომელიც რაღაც დროის განმავლობაში იწვის და მცირე ხნის შემდეგ ქრება, რადგან არ იცი მომავალი სამსჯავროს და საუკუნო სატანჯველის ცეცხლის შესახებ, რომელიც უწმინდურებს ელოდება. მაგრამ რას აყოვნებ? გააკეთე ის, რაც გნებავს.

თავი XII კოცონზე დანვის განაჩენი

1. მას შემდეგ, რაც ეს და სხვა მრავალი რამ ითქვა, პოლიკარპე მხნეობითა და სიხარულით აღივსო და მისი სახე მადლით გაბრწყინდა, ისე, რომ იგი არა მხოლოდ არ დაცემულა (მუხლებზე) შეშინებული იმის გამო, რაც ითქვა მის მიმართ, არამედ პირიქით, პროკონსული გამოვიდა წყობიდან და გაგზავნა საკუთარი მაცნე, რომ შუა სტადიონზე სამჯერ გამოეცხადებინა:

– პოლიკარპემ აღიარა თავი ქრისტიანად.

2. როდესაც მაცნემ ეს წარმოთქვა, სმირნაში მცხოვრები წარმართებისა და იუდეველების მთელმა სიმრავლემ¹ (შდრ. გამოცხ. 2.9) შეუკავებელი რისხვითა და დიდი ხმით დაიძახა:

– ეს აზიის მოძღვარია, ქრისტიანების მამა,² იგი ჩვენს ღმერთებს ანადგურებს და ხალხს ასწავლის, რომ არ შესწირონ მათ ზვარაკი, არც თავყვანი სცენ.

ასე ამბობდნენ, ყვიროდნენ და მოითხოვდნენ აზიის უზენაეს ქურუმ³ ფილიპესგან,⁴ მიეშვა ლომი პოლიკარპეზე. ფილი-

1. ქრისტიანების მიმართ მტრულად განწყობილ იუდეველთა შესახებ იხ. ასევე, 13.1, 17.2.

2. ეს არის ეპისკოპოსისთვის „მოძღვარისა“ და „მამის“ წოდების პირველი ცნობა (შდრ. 1კორ. 4.14-15), იხ. ასევე: *Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 224, შენ. 2.

3. ასიარქოსს (Ἀσιάρχος), აზიის მთავარსა და უზენაეს ქურუმს, რომელიც რომაელ იმპერატორთა კულტმსახურიც იყო და გამგებლის (ან პროკონსულის) ძალაუფლებაც გააჩნდა, თამაშობათა ჩატარების ხელმძღვანელობაც ევალებოდა. *მოციქულთა საქმეში* ეს თანამდებობა თარგმნილია სიტყვასიტყვით, ანუ როგორც „აზიის მთავარი“ (19.31). თუმცა, ფილიპეს თანამდებობაში რომ სწორედ მისი ქურუმთუხუცესობა იგულისხმება, ამაზე მიუთითებს ამავე ტექსტის თ. 21, სადაც იგი მოხსენიებულია, როგორც ἀρχιερέας ('უზენაესი ქურუმი').

4. ოლიმპიაში აღმოჩენილი იქნა წმ. პოლიკარპეს წამებამდე 6 წლით ადრინდელი, 232-ე ოლიმპიადით ანუ 149 წლით დათარიღებული ლაპი-

პე კი პასუხობდა, რომ მას ამის უფლება არ ჰქონდა, რადგან მხეცებთან ბრძოლა უკვე დასრულებული იყო. 3. მაშინ მათ გადანწყვიტეს, ერთსულოვნად დაენყოთ ყვირილი, რომ პოლიკარპე ცოცხლად დაენვათ. უნდა აღსრულებულიყო ის, რაც პოლიკარპეს გამოეცხადა ბალიშთან დაკავშირებულ ხილვაში, როდესაც ლოცვის დროს იხილა იგი ცეცხლმოდებული, მობრუნდა და წინასწარმეტყველურად უთხრა მასთან ერთად მყოფ ერთგულ ადამიანებს: „მე ცოცხლად უნდა დავინვა“.¹

თავი XIII კოცონის მომზადება

1. ეს ყველაფერი ისეთი სისწრაფით მოხდა, უფრო სწრაფად, ვიდრე ეს ითქვა; ბრბომ სახელოსნოებიდან და აბანოებიდან მყისვე შეკრიბა შეშა და ბურბუშელა, ყველაზე ბეჯითად კი მათ ამაში ეხმარებოდნენ იუდეველები, როგორც წესად აქვთ. 2. როდესაც კოცონი მომზადდა, პოლიკარპემ გაიხადა მთელი ტანსაცმელი, შემოიხსნა სარტყელი და სცადა ფეხზეც გაეხადა, რაც მანამდე არ გაეკეთებინა, უნინ ხომ მუდამ თითოეული მის ერთგულ ადამიანთაგან იჩენდა გულმოდგინებას, ვინ უფრო სწრაფად შეეხებოდა მის სხეულს, რადგან იგი ღირსეული მოქალაქობის გამო ჯერ კიდევ მონამეობამდე იყო შემკული (ყოველგვარი სახიერებით). 3. მის გარშემო მაშინვე იქნა დალაგებული ხანძრისათვის საჭირო მასალა. ხოლო როდესაც დააპირეს მისი ლურსმნებით მიჭედება, მან უთხრა:

– ასე დამტოვეთ! რადგან ის, ვინც მაძლევს ძალას, დავითმინო ცეცხლი, თქვენ მიერ ლურსმნებით მიუჭედებლადაც მომცემს ძალას, აუღელვებლად ვიდგე ცეცხლის წინაშე.

დარული წარწერა ფილიპეს შესახებ: Ἡ Ὀλυμπικὴ βουλή Γ(άσιον) Ἰουλιῶν [ὕ] Φίλιππου Τραλλιανῶν, τὸν Ἀσιάρχην, ἡμῶν ἕνεκα, Ὀλυμπιάδι σλβ' (‘‘ოლიმპიის საბჭო გაიუს იულიუს ფილიპოს ტრალისელს, უზენაეს ქურუმს, (უნმინდესი) ზნეობისათვის, 232-ე ოლიმპიადისას’’, იხ. შემდეგ ვებგვერდზე, რომელზეც წარწერის ფოტოც არის განთავსებული: <http://lespierresquipar-lent.free.fr/imag-olympie/inscr-oly-n16.html>). ზოგი ვარაუდით, ამ წარწერაში შესაძლებელია, ზემოხსენებული ფილიპე იგულისხმებოდეს.

1. შდრ. 5.2.

თავი XIV

პოლიკარპეს ლოცვა მარტვილობის წინ

1. ამიტომ მათ აღარ მიაჭედეს იგი, თუმცა გათოკეს. პოლიკარპემ კი, უკან შეკრული ხელებით, შებოჭილმა, როგორც დიდი ფარიდან მსხვერპლშენიერვისათვის არჩეულმა ვერძმა, ღვთის სათნოდ ყოვლადდასანველად გამზადებულმა, აღიხილა ზეცისაკენ და წარმოთქვა:

– უფალო ღმერთო ყოვლისმპყრობელო, იესო ქრისტეს მამავ, შენი საყვარელი და კურთხეული ძისა¹ (შდრ. მათე, 3.17, 17.5; მარკ. 9.7), რომლის მეოხებითაც მივიღეთ ცოდნა შენს შესახებ, ღმერთო ანგელოზთა და ძალთა, მთელი ქმნილებისა² და მართალთა ყოველი გვარისა, რომელიც ცხოვრობს შენს წინაშე. 2. გაკურთხევ, რომ ღირსი გამხადე ამ დღესა და საათს, წილად მხედომოდა, აღვრაცხილიყავი შენს მონამეთა რიცხვში, შენი ქრისტეს სასმისში (მათე, 20.22-23, 26.39), სულიწმინდის უბრუნელებაში სულისა და სხეულის აღდგომისათვის საუკუნო ცხოვრებად (იოანე, 5.29). დაე, დღეს მიღებული ვიყო შენ წინაშე პოხილ და შეწყნარებულ ზვარაკად (შდრ. ფსალ. 19.4; სიბრ. 9.12), როგორც შეამზადე ეს წინასწარ, წინასწარვე გაამხილე და აღასრულე, რადგან უტყუველი და ჭეშმარიტი ღმერთი ხარ (ტიტ. 1.2). 3. ამისათვის და ყველაფრისათვის გაქებ, გაკურთხევ და გადიდებ საუკუნო და ზეციური მღვდელმთავრის, იესო ქრისტეს მიერ, შენი საყვარელი ძისა,³ რომლის მიერაც დიდება შენ მასთან და სულიწმინდასთან ერთად ან (და მარადის) და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

თავი XV

ცეცხლის სასწაულებრივი უძლურება პოლიკარპეს წინაშე

1. როდესაც წარმოთქვა „ამინი“ და ლოცვა დაასრულა, ცეცხლფარეშებმა კოცონს მოუკიდეს. როდესაც დიდი ალი ავ-

1. ὁ τῶν ἀγαπῶν καὶ ἐσλογιῶν πατὴρ.

2. საუბარია ღვთის მიერ შექმნილ სამყაროზე (τῆς κτίσεως παυτός).

3. πατὴρ. იხ. ასევე, 14.1.

არდა, ვიხილეთ სასწაული ჩვენ, ვისაც ამის ხილვა მოგვემადლა და ვინც ცოცხალნი დავრჩით იმისათვის, რათა მომხდარი და-ნარჩენებისთვის გვეამბნა. 2. ცეცხლმა თალის სახე მიიღო და, როგორც ქარით გაბერილი ხომალდის აფრა, გალაგნად გარს-შემოერთყა მონამის სხეულს. იგი კი, შუაგულში მყოფი, იყო არა როგორც ხორცი, რომელიც იწვის, არამედ როგორც პური, რომელიც ცხვება, ან როგორც ოქრო და ვერცხლი, რომელიც ქურაში ცეცხლს არის მიცემული. და ისეთი ნელსურნელება ვიგრძენით, თითქოს მოჰბერა საკმევლის სუნმა ან რომელიმე სხვა ძვირფასმა სურნელმა.

თავი XVI

პოლიკარპეს განგმირვა სატევართი

1. ბოლოს, როდესაც უსჯულოებმა იხილეს, რომ შეუძლებელი იყო მისი სხეულის ცეცხლით განადგურება, ბრძანეს, მისულიყო მასთან კომფექტორი¹ და სატევართი განეგმირა. როგორც კი ამ უკანასკნელმა ეს აღასრულა, პოლიკარპესგან გამოვიდა [მტრედი და]² იმდენად ბევრი სისხლი, რომ კოცონი ჩააქრო და მთელი ბრბო განაცვიფრა, ნუთუ ასეთი დიდი შეიძლებოდა ყოფილიყო სხვაობა ურწმუნოთა და რჩეულთა შორის! 2. ერთ-ერთი მათგანი იყო უსაკვირველესი პოლიკარპე, ჩვენი დროის მოციქულებრივი და წინასწარმეტყველი მოძღვარი, სმირნის კათოლიკე³ ეკლესიის ეპისკოპოსი. რამეთუ ყველა სიტყვა, რომელიც გამოვიდა მისი ბაგიდან, აღსრულდა და აღსრულდება.

1. κομψέκταρ, რომაული „confector“ სიტყვასიტყვით ნიშნავს ‘დამასრულებელს’. მის მოვალეობას წარმოადგენდა არენაზე დაჭრილი ცხოველების დახოცვა.

2. ვესევი კესარიელთან მტრედი ნახსენები არ არის (იხ. *ეკლესიის ისტორია*, 4.15.39), ამიტომ, მეცნიერები მას მიიჩნევენ გადამწერ პიონიოსის (შდრ. 22.4) ჩანართად. დანვრილებით იხ. *Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 229, შნ. 3.

3. ბერძნულ კრიტიკულ გამოცემაში მოცემულია καθολικός (გვ. 230), ლათინურთან კი წარმოდგენილია *ἀγίας* (‘წმინდა’, გვ. 195), *Codex Mosquensis* მიხედვით.

თავი XVII

ქრისტიანებისთვის უარის თქმა პოლიკარპუს წმინდა ნაწილების გადაცემაზე

1. მაგრამ შურიანმა, ცილისმწამებელმა და უკეთურმა, მართალთა მოდგმის მოწინააღმდეგემ,¹ როდესაც იხილა მისი მონამეობის სიდიადე და დასაბამიდანვე შეუბღალავი მისი მოქალაქობა, უხრწნელობის გვირგვინით შემკობა და ასპარეზობის უცილობელი ჯილდოს წაღება თან, იზრუნა, რომ მისი ნეშტი არ გადაგვესვენებინა, მიუხედავად იმისა, რომ მრავალს სურდა ამის გაკეთება და ზიარება მის წმინდა ნაწილებთან.² 2. ამიტომ მან შთააგონა ნიკეტესს, ჰეროდეს მამას და ალკეს³ ძმას, შეხვედროდა მთავარს, რომ არ გადმოეცა მისი სხეული, რათა, როგორც თავად ამბობდა, ქრისტიანებს არ მიეტოვებინათ ჯვარცმული და პოლიკარპუს თაყვანისცემა არ დაეწყით. ხოლო ეს ითქვა იუდეველთა შთაგონებითა და მითითებით, რომლებმაც თვალი შეასწრეს, რომ ველოდით, რათა იგი ცეცხლიდან გადმოგვესვენებინა, და არ იცოდნენ, რომ ვერასდროს შევძლებდით, მიგვეტოვებინა ქრისტე, რომელიც მთელი სამყაროს გამოსახსნელ ადამიანთა გადარჩენისათვის ევნო, უბინო – ცოდვილთათვის (შდრ. 1პეტრე, 3.18), და რომ ვერასდროს შევძლებდით, თაყვანი გვეცა ვინმე სხვისათვის.⁴ 3. რამეთუ ჩვენ თაყვანს ვცემთ მას, როგორც ძეს ღვთისა, ხოლო მონამეები, როგორც მონაფენი უფლისა და მისი მიმბაძველნი, დამსახურებულად გვიყვარს მათი უსაზღვრო სიყვარულის გამო თავიანთი მეუფისა და მოძღვრისადმი. დაე, ჩვენც გავხდეთ მათი თანაზიარნი და თანამონაფენი.

1. შდრ. წმ. კლიმენტი რომაელის პირველი ეპისტოლე, 51.1.

2. *κοιναρισται τῷ ἀγίῳ ἀποτὶν σαρκίᾳ*. ეს მონაკვეთი წარმოადგენს მონამეების ნეშტთა თაყვანისცემასთან დაკავშირებულ პირველ მონაკვეთს. შდრ. აქვე, 18.2, ასევე, ევსევი კესარიელი, *ეკლესიის ისტორია*, 5.1.61.

3. ამ სახელის მქონე პირი, ქრისტიანი ალკე (თუკი ეს იგივე ალკეა), ნახსენებია აგრეთვე, დაახლოებით 45 წლის წინ დაწერილ ეგნატი ანტიოქიელის ეპისტოლეებში, *სმირნელთა მიმართ* (13.2) და *პოლიკარპუს მიმართ* (8.2).

4. ანუ ვერ შევძლებდით ვინმესთვის ისე გვეცა თაყვანი, როგორც ღმერთისთვის.

თავი XVIII პოლიკარპეს ნეშტის დანვა

1. ასისტავმა,¹ როდესაც დაინახა იუდეველთა შარიანობა, დაასვენა პოლიკარპე შუაგულში, როგორც წესად აქვთ მათ, და დანვა. 2. ამის შემდეგ კი, მოგვიანებით, ჩვენ ავიღეთ პატიოსან თვლებზე უფრო ძვირფასი და ოქროზე უფრო კეთილშობილი მისი ძვლები და შესაფერის ადგილას დავკრძალეთ. 3. აქ შეკრებილებს სიხარულსა და მხიარულებაში, რამდენადაც შესაძლებელია, მოგვმადლებს უფალი, რომ აღვასრულოთ მისი მარტვილობის დღეობა, უწინდელ მოღვაწეთა ხსოვნისათვის და მომავალთა წვრთნისა და მომზადებისათვის.

თავი XIX მარტვილ პოლიკარპეს შესხმა

1. ასეთთა გადმოცემები ნეტარი პოლიკარპეს შესახებ, რომელიც ფილადელფიელბთან ერთად მეთორმეტე იყო, ვინც მონამეობრივად აღესრულა სმირნაში, მაგრამ ერთადერთი, ვისაც ყველაზე მეტად მოიხსენიებენ, იმდენად, რომ წარმართნიც კი ყველგან მის შესახებ ლაპარაკობენ. იგი არა მხოლოდ სახელგანთქმული მოძღვარი იყო, არამედ გამოჩენილი მონამეც, რომლის მარტვილობასაც, რომელიც ქრისტეს სახარების შესატყვისად მოხდა, ყველას სწადია მიბაძოს. 2. მან მოთმინებით სძლია უსამართლო მთავარს, ამგვარად მოიპოვა უხრწნელი გვირგვინი და ახლა, მოციქულებთან და ყველა მართალთან ერთად, გახარებული, ადიდებს ღმერთს და მამას ყოვლისმპყრობელს და აკურთხევს ჩვენი სულების მხსნელს, ჩვენი სხეულების მენავეთმოძღვარს² და მსოფლიოს კათოლიკე ეკლესიის მწყემსს, ჩვენს უფალს იესო ქრისტეს.

1. ბერძნულ დედანში მოცემულია ლათინური „centurio“-ს (‘ცენტურიონი’, ‘ასისტავი’) ბერძნული ტრანსლიტერაცია: ὁ κενταρίων (‘ასისტავი’). ევსევი კესარიელი კი მას ასისტავად მოიხსენიებს (ὁ ἐκαστοῦ τάρχης).

2. Κυβερνήτης (‘მესაჭე’) მოციქულთა საქმის (27.11) წმ. გიორგი მთაწმინდელისეულ თარგმანში ამგვარად არის გადმოღებული.

თავი XX

პოლიკარპეს მარტვილობის შესახებ ეპისტოლეს გავრცელების თხოვნა

1. თქვენ ითხოვთ, რომ უფრო ვრცლად მოგვეთხრო თქვენთვის მომხდარი, მაგრამ ამჯერად ჩვენ მოკლედ გადმოვეცით იგი ჩვენი ძმის, მარკონის¹ მეშვეობით. როდესაც გაეცნობით ეპისტოლეს, გაუგზავნეთ იგი შორს მყოფ ძმებსაც, რათა ისინიც ადიდებდნენ უფალს, რომელიც გამოირჩევს თავის მსახურთაგან, 2. რომელსაც ხელენიფება თავისი მადლითა და ნყალობით ყველა ჩვენგანი შეიყვანოს თავის საუკუნო² სასუფეველში, თავისი ძის,³ მხოლოდშობილი იესო ქრისტეს მეოხებით, რომელსაც დიდება, პატივი, ძალმოსილება და დიდებულება უკუნისამდე! (შდრ. 1ტიმ. 6.16; 1პეტრე, 4.11; იუდა, 1.25; გამოცხ. 4.11, 5.13). მოიკითხეთ ყველა წმინდანი (შდრ. ებრ. 13.24; რომ. 16.15). თქვენ კი მოგიკითხეს ჩვენთან მყოფმა (მორწმუნებმა) და ევარესტოსმა, რომელმაც დაწერა ეს ეპისტოლე, თავისი სახლეულითურთ.

თავი XXI

მარტვილობის დათარიღება

ნეტარი პოლიკარპე ეწამა ქსანთიკოსის თვის⁴ დასაწყისში (შდრ. 2მაკ. 11.30,33,38), მეორე დღეს, შვიდი დღით ადრე მარ-

1. სხვა ხელნაწერებში ამ სახელის ნაცვლად მოცემულია მარკიანე და მარკოსი, იხ. *Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 234. როგორც ჩანს, სწორედ მან უკარნახა ამავე თავში ნახსენებ ევარესტოსს ეპისტოლე წმ. პოლიკარპეს მარტვილობის შესახებ.

2. αἰώνιον. ლათინურის გამოცემა ამ მონაკვეთში, მოსკოვის ხელნაწერზე დაყრდნობით, მიუთითებს ἐπίκαιριον-ს ("ზეციური", გვ. 197).

3. παῖδός (შდრ. 14.1,3).

4. ქსანთიკოსი იყო მაკედონური კალენდრის მერვე თვე, ამასთანავე, დღესასწაულიც, რომელიც იმართებოდა გაზაფხულის ბუნიობის წინა დღეს. ამ თვეს რამდენჯერმე ახსენებს ევსევი კესარიელი *ნიგნში პალესტინელი მარტვილების შესახებ*, სადაც მას აპრილს შეუსაბამებს: „თვე ქსანთიკოსი, რომელსაც რომაელთა მიერ აპრილი ეწოდება“ (შესავალი), და „მეორე რიცხვში ქსანთიკოსის თვისა, აპრილის ნონებამდე ოთხი დღით ადრე“ (4, 7). ქსანთიკოსი ნახსენებია იოსებ ფლავიოსთანაც: „ნისანი, რომელიც იგივეა, რაც ქსანთიკოსი“ (*იუდეველთა სიძველენი*, 1.3.3).

ტის კალენდებამდე,¹ დიდ შაბათს, მერვე ჟამს.² იგი შეპყრობილი იქნა ჰეროდეს მიერ, როდესაც უზენაესი ქურუმის³ თანამდებობა ეკავა ფილიპე ტრალისელს,⁴ სტატიუს კვადრატუსის⁵ პროკონსულობისას, იესო ქრისტეს საუკუნო მეუფებისას, რომელსაც დიდება, პატივი, დიდებულება და მარადისი ტახტი თაობიდან თაობამდე, ამინ.

თავი XXII⁶ გადამწერთა შესახებ

[1.(1). ვლოცულობთ თქვენი განძლიერებისათვის, ძმებო, რათა მისდევდეთ იესო ქრისტეს სახარებისეულ სიტყვას, მასთან ერთად კი დიდება ღმერთს და მამას და სულიწმინდას⁷ რჩეულ წმინდანთა ცხოვნებისათვის, რომელთა მაგალითის მიხედვითაც ენამა ნეტარი პოლიკარპე; მის კვალს მიყოლილნი, დაე, ჩვენც აღმოვჩნდეთ იესო ქრისტეს სასუფეველში.]⁸

2.(2). ეს ნაწერები პოლიკარპეს მოსწავლის, ირინეოსისგან გადანერა გაიუსმა, რომელიც ირინეოსთან ერთად მოქალაქობდა. 3. ხოლო მე, სოკრატემ, ისინი გაიუსის ჩანაწერთაგან, კორინთოში გადავწერე. მაღლი ყოფილიყოს ყველა მათგანთან.

1. კალენდები რომაულ კალენდარში თვის პირველ დღეს აღნიშნავდა. შესაბამისად, წმინდა მამა ენამა 23 თებერვალს. მეორე მხრივ, ამავე წინადადებაში ქსანთიკოსის თვის ხსენება, რომელიც თანამედროვე აპრილს ემთხვევა, ამ ცნობას სადავოს ხდის.

2. სხვაგვარად რომ ითქვას, დღის 2 საათზე.

3. ἐπὶ ἀρχιερέως.

4. ფილიპე ტრალისელის ვინაობისათვის იხ. თ. 12.

5. იხ. 3.1.

6. ეს თავი ქვეთავებად დაყოფილია ლაითფუტის გამოცემის მიხედვით. კავებით აღნიშნულია ბერძნულ კრიტიკულ გამოცემაში მოცემული ნუმერაცია.

7. „და მამასა და სულიწმინდას“ წარმოდგენილია ბერძნული ტექსტის კრიტიკულ გამოცემაში, ხოლო ლაითფუტის გამოცემაში იგი არ არის მოცემული. აღსანიშნავია, რომ კრიტიკული გამოცემის იკითხვისებს შორის არ არის აღნიშნული ამ მონაკვეთის გამოტოვება რომელიმე ხელნაწერში.

8. როგორც შინაარსიდან ჩანს, *მარტილობის ტექსტი* მთავრდება XXI თავით, 22.1 კი დამატებულია ფილომელიონის ეკლესიისათვის, რომელსაც ეს თხზულება გაეგზავნა (იხ. *Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 208).

4.(3). მე კი, პიონიოსმა, ჩემი მხრივ, უკვე დაწერილიდან გადავწერე ეს ნაწერები, რომლებიც ვიპოვე მას შემდეგ, რაც ისინი ნეტარმა პოლიკარპემ გამოცხადებით გამომიჩინა, რის შესახებაც მოგვიანებით გადმოვცემ; შევკრიბე ისინი, დროისაგან უკვე თითქმის დამდნარი, რათა თავის ზეციურ სასუფეველში მეც შემეყვანოს მის რჩეულ ადამიანებთან ერთად უფალმა იესო ქრისტემ, რომელსაც დიდება თანა მამით და სულიწმინდითურთ უკუნითი უკუნისამდე, ამინ.¹

1. მოსკოვის ხელნაწერი მცირეოდენი განსხვავებებით წარმოადგენს ტექსტის 22.2-4 მონაკვეთს. იგი ქვეთავებად დაფყავით ლაითფუტის გამოცემის მიხედვით. კავებით მითითებულია ბერძნულ კრიტიკულ გამოცემაში მოცემული ნუმერაცია: „2.(1). ეს ნაწერები წმინდა პოლიკარპეს მოსწავლის, წმ. ირინეოს ლიონელის ჩანაწერებიდან გადაწერა გაიუსმა, რომელიც ირინეოსთან ერთად მოქალაქობდა. (2). ამ ირინეოსმა, რომელიც ეპისკოპოს პოლიკარპეს მარტვილობის დროს რომში იმყოფებოდა, მრავალი ადამიანი განსწავლა. გაგრცელებულია მისი მრავალი უმშვენიერესი და უმართლმადიდებულისი (εὐχέραια) თხზულება. მათში იგი იხსენებს პოლიკარპეს (და წერს), რომ მის მიერ იქნა განსწავლული, მათშივე მან ჯეროვნად ამხილა ყველა წვალება და გადმოგვცა საეკლესიო და კათოლიკე კანონი ისეთივე სახით, როგორც მიიღო იგი (ამ) წმინდანისაგან. (3). იგი ამბობს იმასაც, რომ ოდესღაც წმინდა პოლიკარპეს შეხვდა მარკიონი, რომლისგანაც მომდინარეობენ მარკიონელებად წოდებული მწვალებლები, და უთხრა: „გვცანი ჩვენ, პოლიკარპე!“ მან კი მარკიონს მიუგო: „ვიცნობ, ვიცნობ სატანას პირმშოს“. (4). ირინეოსის თხზულებებში ნახსენებია ისიც, რომ იმ დღესა და საათს, როდესაც სმირნაში ეწამა პოლიკარპე, რომელთა ქალაქში (= რომში) მყოფმა ირინეოსმა გაიგონა საყვირით ხმა, რომელიც ამბობდა: „პოლიკარპე ეწამა!“ 3.(5). ირინეოსის ამ ნაწერთაგან, როგორც ითქვა, გადაწერა გაიუსმა, გაიუსის ჩანაწერიდან კი ისოკრატე კორინთელმა. 4. ხოლო მე, პიონიოსმა, ჩემი მხრივ, ისოკრატეს ჩანაწერთაგან გადავწერე ეს ნაწერები, რომლებიც წმინდა პოლიკარპეს გამოცხადების მეშვეობით ვიპოვე; შევკრიბე ისინი, დროისაგან თითქმის უკვე დამდნარი, რათა თავის ზეციურ სასუფეველში მეც შემეყვანოს მის რჩეულ ადამიანებთან ერთად უფალმა იესო ქრისტემ, რომელსაც დიდება თანა მამით და ძით და სულიწმინდითურთ უკუნითი უკუნისამდე, ამინ“. მკვლევართა თანახმად, 22.2-4 მონაკვეთი გვიანდელი, IV ს-ის დასასრულის ხანის ჩანართს წარმოადგენს (იხ. *Ignace d'Antioche*, 1969, გვ. 208-209).

